

1946

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

მ. ი. ნ. ე. რ. ე.



1 9 4 6

მ ი ნ ე რ ე

№ 3

მოდის ხუთწლელი

თითო ხუთწლელი—თითო ნახტომი
ზე-შეტოტებულ მგრგვინავ ვეფხისა...
თითო ხუთწლელი—ფეხზე დადგომა
და გამარჯვება ჩვენი ქვეყნისა...

რომ არ გეჭონოდა სამი ხუთწლელი,
და ოქროს კალმით მათი დამწერი,
რომ არ გეყოლოდა,—ვერ გავუძლებდით—
გადაგვლეკავდნენ შავი ხანძრები.

მოდის ხუთწლელი—ერთი ნახტომიც
ზე-შეტოტებულ რკინის ვეფხისა;
სევასტოპოლის მკვდრებით აღდგომა,
აღუღუნება ისევ დნებრისა,

ალორძინება ძმათა კერების,—
უკრაინული თეთრი სოფლების,
აღუღუნება ბედნიერებით
ჩონგურების და ტკბილი დომბრების.

მოდის სიცოცხლე კაცთა გულებში -
მშვიდობის ცისქვეშ დამყარებული.
გემების ტევრი, ნავსადგურებში
ხარ-იარმებივით აბლავლებული...

მომავლის ტაძარს, ერთი აგურიც
მაშ მიუმატე!
მაშ მიუმატე!
და გადმოდგება კელაპტარივით
სტალინის დროშა—ქვეყნის გუმბათზე.

მუჰამან ლაბანიძე

ფერადი ფერადი ფერადი 5 წლის უკანა

ჩვენი ქვეყანა წლის უკანა

ხშირად მსმენია პიონერებისაგან:

— ექიმი მინდა ვიყო...

— ინჟინერი მინდა ვიყო...

— მასწავლებელი მინდა ვიყო...

და ჩამოთვლიან ყველა პროფესიას, იმისდა მიხედვით, ვინ რაზე ოცნებობს. რასაკვირველია, სკოლის დამთავრებამდე ბევრი პიონერის ოცნება შეიცვლება და განხორციელდება ის სურვილი, რომელიც აღიძვრება და განმტკიცდება უკანასკნელ კლასში. მაგრამ ერთი რამ უდავოა: დღევანდელი პიონერები ჩვენი ქვეყნის მომავალი მშენებლებია.

ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა მაშინ, როდესაც დღევანდელი პიონერი სრულფლებიანი მოქალაქე იქნება და თავისი სამშობლოსათვის სასარგებლო პროფესიას მიჰყოფს ხელს. ეს იქნება, დაახლოებით, 1950 წელს, ანუ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი ბოლოს.

საოცარი ციფრები

ზოგს აგრე წარმოუდგენია, რომ ციფრები მოსაწყენი რამაა, რომ ციფრები ბუხპალტრებისა და მოანგარიშების საქმეა. სრულიადაც არა! ზოგ ციფრს დიდი ბიოგრაფია აქვს, დიდი ცხოვრება და მოსაველი. არის ციფრი, ურომლისოდ ჩვენი ცხოვრება მეტად ღარიბი და ფერმკრთალი იქნებოდა. აეთია ის ციფრები, რომელიც გვხვდება საბჭოთა კავშირის 1946-1950 წლებსა სახალხო მეურნეობის განვითარების კანონში. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს, რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გაიზრდება ჩვენი ქვეყანა ამ ხუთწლიანი მანძილზე.

1950 წელს საბჭოთა კავშირში მოპოვებული და წარმოებული იქნება:

19,5 მილიონი ტონა თუჯი

25,4 მილიონი ტონა ფოლადი

250 მილიონი ტონა ნახშირი

35,4 მილიონი ტონა ნავთობი

82 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია

500 ათასი ავტომობილი

127 მილიონი ტონა მარცვლეული

4 მილიარდ 686 მილიონი მეტრი ბამბეული ქსოვილები.

იოლი როდია ამ ციფრების სიდიადის წარმოდგენა. ეს სალაპარაკოთ და დასაწერადაა ადვილი: 4 მილიარდ 686 მეტრი მილიონი ბამბეულის ქსოვილი. ამ რაოდენობის ქსოვილი, პატარა გოგონას ბანტებათ რომ დავჭრათ, დედამიწის სფეროს 117-ჯერ შემოვხვევა. ან კიდევ: ამ რაოდენობის ქსოვილიდან 1 მილიარდ 556 მილიონი ხელი ტანსაცმელი შეიკვრება. თუ ვიგულისხმებთ, რომ 1950 წელს საბჭოთა კავშირში 200 მილიონი მცხოვრები იქნება, ადვილად შეგვიძლია გამოიანგარიშოთ, რომ თითო სულზე თითქმის 8 ხელი ტანსაცმელი მოვა...

ელექტროენერგია გამოყენებულია ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში. იგი გვჭირდება—ოჯახში, ქარხანაში, რკინიგზაზე, სამეცნიერო ლაბორატორიაში, ყველგან, სადაც ადამიანი შრომობს და ფიქრობს. პოლა, იცით რას



საქართველოს
ბიბლიოთეკა



ნიშნავს 82 მილიარდი კვლოვატსაათი ელექტროენერგია? ტექნიკაში მიღებულია, რომ ერთი კვლოვატსაათი უდრის ერთი ღონიერი კაცის სამ სამუშაო დღეს. მაშასადამე, 82 მილიარდი კვლოვატსაათის განმომუშავებისათვის საჭიროა ერთი მილიონი ადამიანის მუშაობა 299,300 დღის განმავლობაში, ანუ 820 წელიწადს.

ნავთობა „მანქანის სისხლს“ ეძახიან. უნაეთობოდ ვერ იფრენს აერობლანი, ვერ ივლის ავტომობილი, ტრაქტორი. 35,5 მილიონი ტონა ნავთობი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა წელიწადში ამოიღებს მიწის წიაღიდან, მთელი ზღვაა. ეს ზღვა დაიწვება ჩვენი ქვეყნის მანქანების ძრავებში.

250 მილიონი ტონა ქვანახშირი რომ წარმოვიდგინოთ, საჭიროა 12-ჯერ დავტვირთოთ და გადმოვტვირთოთ მატარებელი, რომლის ორთქლმავალი მოსკოვში იქნება, ხოლო უკანასკნელი ვაგონი ვლადივოსტოკში.

500 ათასი ავტომობილი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქარხნების კონვეიერებიდან ყოველ წუთში ორი მზა ავტომობილი ჩამოსრიალდება.

ციფრები 19,5 მილიონი ტონა თუჯი და 25,4 მილიონი ტონა ფოლადი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ისე შეიჯავშნება რკინა-ფოლადით, რომ მას ვერავითარი მტერი ვერას დააკლებს.

უნდა გვასოგედეს, რომ ლითონი ქვეყნის სიძლიერის ქვაკუთხედი. ხუთწლეულის კანონში პირდაპირ ნათქვამია, რომ „შავი ლითონის წარმოება „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენას და განვითარებას განსაზღვრავს“.

ადამიანის თანაშემწე

მანქანა ადამიანის თანაშემწეა. მანქანა უადვილებს ადამიანს შრომას და ენერგიას. მაგალითად, ერთი კომბაინერი ერთ დღეს თავისი კომბაინით იმდენ პურს მომკის, რამდენსაც ვერ მომკის 100 კაცი ერთ დღეს.

იმ ქარხანაში, სადაც „ზის“-ის მარკის ავტომობილი კეთდება, ერთი მუშა 9 კაცის სამუშაოს ასრულებს მანქანის საშუალებით.

ქარხანა „სატანკო კონსტრუქციაში“ ერთგან 14 დაზგა დგას. ეს დაზგები ისეა განლაგებული რომ ერთ უწყვეტ ხაზს წარმოადგენს, ანუ კონვეიერს, ამ კონვეიერზე 3,5 წუთში ამზადდებიან ერთ დეტალს.

კონვეიერი რომ არ ყოფილიყო, იმავე დეტალს ერთ დაზგაზე 3 საათი და 15 წუთი დასჭირდებოდა. აი, როგორი მანქანები გვაქვს ჩვენ. ხუთწლეულის ბოლოს ჩვენ ერთნახევარჯერ მეტი მანქანები გვექნება, ვიდრე ომამდე.

საბჭოთა მეცნიერება

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია საბჭოთა მეცნიერების დიდი განვითარება. ჩვენს მეცნიერებს ახლაც განსაკვიფრებელი მიღწევები აქვთ. რას არ გააკეთებენ ჩვენი მეცნიერები ამ ხუთწლეულის განმავლობაში... მაგალითად, თქვენ ყველას გინახავთ ნახერხი. უბრალო ხის ნახერხი. აი, ამ ნახერხისაგან საბჭოთა მეცნიერები მოქსოვენ აბრეშუმის ფარჩას.

ჩვენმა მეცნიერებმა უკვე ბევრ ადგილას შეუტევალეს ჩვენს ქვეყანას სახე. იქ, სადაც წინათ უღაბნო იყო, ახლა ადამიანი ხარობს, იქ, სადაც გაუვალე ჭაობი იყო, ახლა ლიმონი და ფორთოხალი ყვავის. მარტო კოლხეთში 225 ათასი ჰექტარი გაუვალე ჭაობი იყო. ახლა ნახევარი ამ ჭაობისა ამომშრალია და ადამიანი ლიმონისა და ფორთოხლის ბაღებს აშენებს ახალ მიწაზე. ხუთწლეულის განმავლობაში კოლხეთის ჭაობი სულ უნდა ამომშრეს.

თბილისს გარშემო 35 ათასი ჰექტარი გამოუყენებელი მიწა აკრავს. ამ ხუთწლეულის განმავლობაში ეს ფართობი წყლით მოიარწყვება და თბილისისა გარშემო გაშენდება ბაღები, ბოსტნები, საუცხოო აგარაკები.





1950 წელს საბჭოთა კავშირში 193 ათასი სკოლა იქნება. ამ სკოლებში 31 მილიონ 800 ათასი მოსწავლე ისწავლის.

თექვსმეტი ამირანი

საბჭოთა ქვეყანა 16 მოძმე რესპუბლიკის სტალინური მეგობრობის ურდვევი კავშირია.

ბოროტი ფაშისტური გერმანია თავს რომ დაესხა ჩვენს ქვეყანას, ეგონა—საბჭოთა ხალხებს ერთმანეთს გადაჰკიდებდა და ბოლოს დაიმონებდა. მაგრამ შეეწარა ნახტომი. 16 მოძმე რესპუბლიკა 16 ამირანივით დადგა ერთმანეთის გვერდით და დიდი სტალინის დროში ქვეშ, ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. მართალია, მიძმე იყო ბრძოლები, მაგრამ გამარჯვების შემდეგ ჩვენი ხალხი დიდი თავდადებით შეუდგა განადგურებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენას.

1950 წლისათვის ჩვენ ყველაფერს აღვადგენთ და ბევრ ახალსაც გავაშენებთ.

ომაძღვლთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი საქონელი 29 პროცენტით მეტი გვეყოლება, ღორი—35%-ით, ცხვარი და თხა—62%-ით.

აშენდება ბევრი ახალი რკინიგზა. ამ რკინიგზებით 16 მოძმე რესპუბლიკა, 16 მეტროპოლი ამირანი, ერთმანეთს გაუგზავნის და გადაუცვლის თავისი ნაციონალური შრომის ნაყოფს. უკრაინა—პურს, ქონსა და შაქარს, უზბეკეთი ბამბას, საქართველო ციტრუსებს და ღვინოს, აზერბაიჯანი ნავთობს; მოლდავეთი ყურძენს, თურქმენეთი კრაველს. მარტო ერთ დღე-ღამეში საბჭოთა კავშირში დაიტვირთება 115 ათასი ვაგონი.

საქართველოს ექნება თავისი მსხვილი მეტალურგიული ბაზა. თბილისის ახლოს შენდება ვეებერთელა მეტალურგიული ქარხანა, რომელიც მიეღვ ქალქს წარმოადგენს.

ქუთაისში აშენდება დიდი საავტომობილო ქარხანა. კერძოდ, საქართველოსათვის, ხუთწლედის გეგმა დიდძალი თანხის დახარჯვას ითვალისწინებს: 4 მილიარდ 100 მილიონი მანეთისას.

სახლებს გაყიდვიან მაღაზიეზი.

1950 წელს თქვენ, ჩვენო მკითხველებო, უკვე პიონერები არ იქნებით. და არ გაგიკვირდებათ, თუ დედამ ან მამამ გთხოვოთ:

— წავიდეთ, შვილო, მაღაზიაში, სახლი ვიყიდოთ.

დღესდღეობით თქვენ შეჩვეული ხართ, რომ მაღაზიებში სურსათ-სანოვაგე და სამრეწველო საქონელი იყიდება. 1950 წელს კი სხვა სურათი იქნება. ამ წელს თქვენ მშობლებთან ერთად შეხვალთ მაღაზიაში და მოითხოვთ:

— მე მინდა ერთსართულიანი სახლი, 4—ოთახიანი.

— მე მინდა ორსართულიანი სახლი...

და თქვენ აირჩევთ მზამზარეულ სახლს...

ამ მზამზარეულ სახლს სულ რამდენიმე დღის განმავლობაში დაგიდგამენ.

არ იქნება საჭირო ზრუნვა: ცალკე—მუშებზე, ცალკე სამშენებლო მასალებზე, მათ გადაზიდვა-გადამოზიდვაზე... მზა სახლს იყიდით ისე, როგორც სავარცხელს.

საქნე ისაა, რომ ხუთწლედის გეგმაში გათვალისწინებულია მზა სახლების სამშენებლო ფაბრიკების აგება. ამ ფაბრიკებში დაამზადებენ სახლის ყველა ნაწილს ცალ-ცალკე: სახურავს, კედლებს, ქერს, იატაკს, კარ-ფანჯრებს. საჭირო იქნება მხოლოდ სახლის შედგენა.

აი, რა მიღწევები გვექნება 1950 წლისათვის.

აი, როგორ იქნება ჩვენი ქვეყანა 5 წლის შემდეგ.





ალიო მაშაშვილი

(ლიბერატორული მოღვაწეობის 25 წლისთავის ბაიო)

ალიო მაშაშვილი ერთ-ერთი ფუძემდებელია ახალი ქართული საბჭოთა პოეზიისა. ის მგზნებარე მებრძოლი მოტივებით აღრმავებს მდიდარი ტრადიციის მქონე ქართულ ლიტერატურას.

ალიო ანდრეას-ძე მაშაშვილი (მირცხულავა) დაიბადა 1903 წლის 28 აპრილს სოფელ ხორგაში. დაწყებითი სწავლა თავის სოფელშივე მიიღო. ფოთის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, 1923-27 წლებში—მოსკოვის შრიუსოვის სახელობის სალიტერატურო ინსტიტუტში, შემდეგ—ეურნალისტიკის ინსტიტუტში.

ლექსების წერა თხუთმეტი წლისამ დაიწყო. აგრეთვე უყვარდა ხატვა და სცენა. განსაკუთრებით ხიბლავდა გოჩას როლი აკაკის „პატარა კახში“. პოეტი ადრევე იყო უცხოელი მწერლების ჰაინესა და ვერჰარნის პატივისმცემელი. ჰაინეს ლექსი „სიზმარი“-ს თარგმანი მან, ჯერ კიდევ ადრე, მოწაფეთა ეურნალ—„ჩირადღანში“ მოათავსა.

მაშაშვილის პირველი ლექსი დაიბეჭდა ფოთის გაზეთში 1921 წლის მარტში.

პოეტმა ალიო მაშაშვილმა 1931 წელს დასწერა პიესა „განგაში“, რომელიც დასრულდა რუსთაველის სახელობის თეატრმა. პოე-

ტის ლექსები და პოემები თარგმნილია უკრაინულ, სომხურ და სხვა მოძვე რესპუბლიკების ენებზე.

პოეტი თავის მოღვაწეობის 25 წლის მანძილზე აგრეთვე სიყვარულით ემსახურებოდა ქართულ საბავშვო ლიტერატურის აღორძინების საქმეს. ცნობილია მისი საბავშვო ლექსების წიგნები „პიონერული“, „ალისფერი ყელსახვევი“ და სხვა. ალიო მაშაშვილი რამდენიმე წლის მანძილზე ეურნალ „პიონერის“ რედაქტორი იყო.

ალიო მაშაშვილის შემოქმედებაში მთელი თავისი სრულყოფით წარმოდგენილია განსაკუთრებით პატრიოტული თემატიკა. პოეტი მღელვარე სიყვარულით უმღერის სამშობლო მხარეს. ლექსები „ჰიმნი სამშობლოს“ და „სამშობლო ბელადია“ წარმოადგენენ თანამედროვე საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ქმნილებებს, რომლებშიც წარმოსახულია ცხოვრება, რაზეც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები, დახატულია პოცილისტური სამშობლოს ძლიერება, შრომის პრაქტიკით გალავებული მხარე, სადაც „მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზია“. პოეტს სიამაყეს ჰკერის ის გარძობა, რომ შვილია იმ დიდებული ქვეყნისა, რომელმაც შობა კაცობრიობის მხსნელი გენია. ყოველივე ეს მაშაშვილმა გამოხატა ცნობილ სტრიქონებში:

როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა,
რომელმაც შობა გმირი სტალინი,
დამახობელი ქვეყნად ბნელისა,
როგორ დაჰქნება მთების მშვენება,
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუთაველისა“.

ალიო მამაშვილის შემოქმედებაში სოცია-
ლისტური ინდუსტრიის თემატიკას დიდი
ადგილი აქვს დათმობილი. ამ მხრივ დამახა-
სიათებელია პოეტური გზნებით დაწერილი
ლექსი „დაძვერელი ბრიგადები“, რომელიც
უმღერის თავისუფალ სოციალისტურ შრო-
მას. ასეთივე ხასიათისაა ლექსები „მტკვა-
რისტანი“, „ლაითურის კომკავშირელი“ და
სხვ. პოემაში „ენგური“ ალიო მამაშვილმა
სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ
თემაზე ნათლად დაგვიხატა საბჭოთა ახალ-
გაზრდობის შემოქმედებითი გაქანება. პოე-
მის გმირები ხორცმესხმულია მხატვრული
ოსტატობით.

პოეტის შემოქმედებაში მთავარი ადგილი
უკავია დიდი ბელადების—ლენინისა და
სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ნათელ გზას. ამ მხრივ პოეტის ლექსებმა იპ-
თავითვე მიიქციეს მკითხველი საზოგადოე-
ბის ყურადღება. ასეთი ლექსებია: „ლენინი
ჩვენს საქმეში“, „დაბადება“, „სამოცა შე-
ლი“ და სხვ. გარდა ფართოდ ცნობილ ცალ-
კეულ ლექსებისა, პოეტი დიდი სტალინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე უნდა
პოემაში „მეგობრები“.

დიდი პათოსით ჟღერდნენ სამამულო
ომის დღეებში პოეტის გზნებარე ლექსები.
პოეტი კაცობრიობის ვერაგი მტრის შესა-
მუსრავად მოუწოდებდა მასებს. მის ლექ-
სებში ფართო გამოხმაურებას ჰპოვებდნენ
დიდი სამამულო ომის ცალკეული ეპიზოდე-
ბი, აღსავსენი უმაგალითო გმირობითა და
მამაცობით. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსე-
ბი: „მყინვარი“, „ძმები“, „დღას ორი ქალა-
ქი, ორი ძმადნაფიცი“, „ზღვის არწივი“ და
სხვ. ტრადიციული ქართული ლექსის მალა-
ლი გზნებით ჟღერდა მამაშვილის ლექსი
„სიმღერა გამარჯვებისა“. ომის პირველ
დღეებში პოეტი სწერდა:

„სტალინის დროშა გავშალოთ, —
ორბის ფრთა ნაპერწკლოვანი,
დაეძახოთ ბრძოლის კიჟინა
მრისხანე, ხმა-ცეცხლოვანი,
მტრებს დავსცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს
მათი ოხვრა და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით
სამშობლო სახელოვანი“.

ალიო მამაშვილი საბჭოთა პოეზიის საუ-
კეთესო წარმომადგენელია, ჩვენი დიდი
ქოქის მომღერალი, მისი დიადი იდეებისა
და საქმისათვის თავდადებული და უანგარო
მებრძოლი.

ალიო მამაშვილი

დგას ორი ქალაქი—ორი ძმადნაფიცი

ჩრდილოეთს ნაგვიში
სუხსსა და წვიმში,
სამსხრეთის მგზნებარე
მზის შიქით ნალაქი,—
დგას ორი ქალაქი.
დგას მტრების წინაშე
ლენინის ქალაქი,
სტალინის ქალაქი.

ხან შრთმით დაღლილი,
ხან მზივრ—მწყურთვალა
იზრბვის და იარუმს
იზრთლუმს დაჭრილი,
ვლავ რბმუნით სავსეა
და გულთ მსურთვალა,
წინ დრთმად მიუბღვის
ლენინის აჩრდილი.
ის ლუწუს ცყვივით,
მაინც არ გამცდებარა,
მსურთ ეღდას მოსწყვიტონ
და მაინც მხნედ აზის,

ღარი არ ჩამდგარა,
ხალხი ზღაფ ამდგარა
და ყალყზე დამდგარა
მრინჯათის მსუღარც.
არ შედრკუ! არ შედრკუ!
უმცრთს მმას უვივის,
წვიმა და ძარბა,
ელვა და ზანზარი,
სტალინის დრთმას
რთმ დამჭრის შიქივით,
ცყვი ვურ განვმირავს,
ურ დასწავს სანმარბი.
აქ, ასლო წარსულშიც,
მტრუმს უნავარდით,
აქ, თმის დამსთმის
მრისხანე ზარის წინ,—
შრბთლუმში ნაწრთთმი
სტალინის გვარდია
ათასგვარ მტრისაგან
იღავდა ცარიდინს,

ურთმანეთს შეჯდევს:
დაიფან მთლომდე
ქვიყანა უდრვი
და შიურთგალი,
თენდასეთ წილიწადს
რთმ სქილეს ფთლადით,
ქვიყანა დამრული
თქცომმრის გრთიგალით.
გვავს მწვავე ჭრთლთმას
მცარავალთა ნამრით
ნვიდინ ვთლგამდე
გვა სისხლით ნალაქი,—
დგას ორი ქალაქი,
ორი ძმადნაფიცი,
ლენინის ქალაქი,
სტალინის ქალაქი.

1942 წელი





ძველი ამბავი გუხართან

— მაშ ყური მიგდე, რაკი არ მასვენებ, ერთ ძველ ამბავს გეტყვი, ოღონდ ცოტა უკან დაიწიე დაგცხება, შვილო! უთხრა მოხუცმა მარიამმა თავის შვილიშვილს. ბავშვს უკან დაახვეინა და ასე დაიწყო:

— მაშინ სულ ახალგაზრდა ვიყავი, სოფელში მამული გვექონდა და ჩვენი პატარა ეტლით ახლომახლო სოფლებში ნათესავ-ნაცნობთა სანახავად ხშირად მართო დავდიოდი. ხან მახლობელ ტყეს და ლამაზ მთებს გულის დასატკბობად ვესტუმრებოდი. ორი ცხენი გვყავდა და ერთი პაწია ძაღლი. გიშერა. გიშერა დიდი მეგობარი იყო ამ ცხენებისა... მაგრამ... კიდევ უკან დაიწიე, შვილო! ხედავ ბუხარი მეტად გაძლიერდა და შეგაწუხებს.

მოხუცმა სკამი უკან დასწია, მის მუხლებზე დაყრდნობილ ავთანდილსაც უფრო უკან დააწევინა. ბუხარი მართლაც ტკბილად გუზგუზებდა. იანვრის ყინვიან საღამოს ბინდით მოცულ ოთახს ალის ლამაზი ბუქნა ჭერსა და იატაკზე ოქროსფერ სახეებს ხატავდა.

ბავშვი სმენად იყო გადაქცეული და მოუთმენლად გაიძახოდა:

— ჰო, მერე, მერე?! ჩქარა თქვი ბებო, მე არა მცხელა, დაიწყე მეტი!

— ჰოდა, ერთხელ სოფელში ხმა გავრცელდა — ივრეთის მთიდან დიდ ხევში ზვავი ჩამოწვა და მეჯუღა მთებში ტბად დააყენაო. გავიგე თუ არა ეს ამბავი დანამდვილებით, შენს პაპას ხელად თაფლა ცხენი შევაბამეინე, მსუბუქ ეტლში ჩავჯექ და მთებისაკენ გავინავარდე. თურმე გიშერაც ავდევენებოდა. ეს ერთგული პაწია ძაღლი ცხენებს ყოველთვის ყარაულად თან დასდევდა. თუმცა ვუჯავრდებოდით, არ გვინდოდა იმის გაყოლა, მაგრამ მან ეშმაკურ ხერხს მიმართა: რა წამს ვაიგებდა, რომ სადმე მივდიოდით, ორლობეებში უწინ ის გაიჭრებოდა, ბუჩქნარში იმალებოდა და სოფელს მოშორებით ცხენს სიხარულით ფეხდაფეხ აედევნებოდა არც იმ დღეს შემინიშნავს, თუ გიშერა გამოგვედევნა. თურმე ეტლს ქვეშ შემძვრალი-



... ყველაზე დიდი ბალანაბურძენილი ბოხვერა ძაღლი არ იქნა და აღარ დაგვეხსნა

ყო და სანამ წისქვილს არ მივუახლოვდით; არ გამოჩენილა, მერე რაღა გავწყობოდა? ერთი-ორი მათრახი ჰაერში ავაშხუთლე, გავუჯავრდი სახლში წადი მეთქი, მაგრამ ძალღმა ხნულზე ჩამომხდარ ყორნებს თავგამოდებით შეუყვება, შორს გააფრთხო და ხტუნვა-კუნტრუშით ისევ უკან დაბრუნდა და საყვარელ მეგობარს მხიარული წკმუტუნით გვერდით აედევნა.

გავიარეთ რამდენიმე სოფელი, ჭალებს გავცდით და ხევსუფს რომ მიუახლოვდით, ვიცი მეჯუღა თავის განიერ კალაპოტში სულ აღარ ხმაურობდა, ისე იყო ჩამომწყდარი. ზვავი კი ჯერ არსად სჩანდა გუბე-გუბედ ჩამდგარ წყალთან სათევზაოდ წამოსული ბავშვები მხიარულად ხმაურობდნენ. გზადაგზა იქ მიმავალი კაცები მხედვობდნენ. ვისაც ვიცნობდი ქუდს მიხდიდნენ, ვისაც არ ვიცნობდი—ისინიც გამარჯობას მეუბნებოდნენ. უსანეთის მთას რომ გავცდით, უცებ შევნიშნე, რომ ორ მთას შუა ჩამოწოლილი დიდი ზვავი შიგ მეჯუღის კალაპოტში სოლივით ჩამჯდარიყო და მაღალი ხევი მთლად ჩაეკეტა. ზვავის გვეროზე ხალხს თავი მოეყარა და უცხო სანახავს უცქეროდნენ. ქვემოთ მთის ძირას პოლიციელების ცხენები გაეჩერებინათ. ჩემი შარბანიც იქ ჩამოეყენე და მალღობისაკენ გავწვი.

მალღა რომ ავედი, თვალწინ მეტად ლამაზი სურათი გადამეშალა; ლურჯად დაგუბებული მეჯუღა სარკესავით ლეღივებდა და მწვანე მთები მის მოკრიალებულ გულში კეკლუცად იხედებოდნენ.

ზვავის მარცხენა მხარეს ჩვენი სოფლის ბოქაულს გლეხები დაეყენებინა და ზვავს არხს უთხრიდნენ, რადგან ეშინოდათ დაგუბებულ წყალს მიწა და ყორე არ გადაეზვრია და ახლომახლო სოფლები არ წაეღეკა.


ერთი სიტყვით, სანახაობა რომ ვნახე და ძირს ჩამოვედი. ცხენი არხეინად ბალახს აძოვდა. გიშერაც იქვე ყარაულად უწვა და თვალს არ აშორებდა თავის მეგობარს. იქიდან რომ დავბრუნდით, ერთ სოფელთან ძაღლები დაგვესივნენ. თათლამ დაიფრუტუნა და ქარივით წამოვიდა. ამ ქოფაკების შიშით ჩვენს პაწია გიშერას იხტიბარი წაუხდა. გააფრთხებული ძაღლების გამო რაკი მარაბანი ვერ გავაჩერე, რომ გიშერა ამეყვანა, საწყალმა თავს იმითი უშველა, რომ

კუდამოძებულო ცხენს შეუვარდა და ვაწია ფეხები იმანაც სწრაფად აამუშავა.


მიჰქრის ცხენი და გიშერაც მიჰყვება ყურებ აცქეტილი. როგორც იყო, სამი ქოფაკი ჩამოგვეცალა, მაგრამ ყველაზე დიდი, ბალანაბურძენილი ბოხვერა ძაღლი არ იქნა და აღარ დაგვეხსნა. უქნიე მათრახი, მინდოდა გამონასკული თასმა თვალეში მომეხვედრებინა, მაგრამ ვერას გავხდი. იმისი მოვერებით გულმოსულმა წამოვიძახე; ფუი, შევირცხვა პატრონი მეთქი; ეგ ისეთი კილოთი ჩამოვიძახე, როგორც ადამიანს არცხვენენ ხოლმე და უეცრივ სახტად დავჩივი: გააფრთხებულმა ძაღლმა უცებ ხმა ჩაიწყვიტა და თოფნაკრავით უკან გატრიალდა. ძლიერ გამიკვირდა, მაგრამ ვიფიქრე ჩემი ლანძღვისა კი არ შეეშინდა, ალბათ სწორედ იმ დროს უნდა ჩამოგვეშორებოდა, როცა მე გადმოვავფურთხე მეთქი და უკან მივიხედე: ძაღლი გამალებით მიძუნძულებდა სოფლისაკენ—ერთხელ აღარ მოუხედიდა.

გიშერა ცოტახანს მორბოდა ცხენის ფეხებში. როცა დარწმუნდა საფრთხე აღარ მომელასო და გამოხტომა დააპირა, საწყალ ძაღლს ცხენის წინა ფეხი შიგ თავში მოხვდა. გიშერამ საცოდავად დაიწყა მუტუნა და განზე გადმოვარდა. ცხენი იმ წამსვე შეჩერდა. ძაღლი გულღმა ეგდო და ფეხებს იქნევდა. ცხენმა გადმოთეთრებული თვალეებით ძაღლს გვერდზე გადმოხვდა და მოუსვენრაღ ტოკვას მოჰყვა. გადმოვედი ეტლიდან, ძაღლი ავიყვანე, გულზე მიხუტებული არხთან მივედი, ცხვირსახოცი დავასველე და გასისხლიანებულ შუბლზე დავადე. ცხენი ფრუტუნით თვალს არ მავშორებდა. ისევ დაფეხეკი ეტლზე, აკანკალებული ძაღლი მუხლებზე ფრთხილად დავისვი თუ არა, ცხენი დაიძრა და ისეთი ფრთხილი იორღით წამოვიდა, რომ გაკვირვებას ვიყავი. ცხენი ჩაღრმავებულ ადგილებს და ქვებს ისე ერიდებოდა, თითქოს ცდილობდა ეტლი ზედმეტად არ დაენჯღრია. სახლში რომ მივედი, გიშერა აივანზე ავიყვანე, მოაჯირთან რბილად გავუშალე და დაეაწვინე. ის იყო შენი პაპა მინდვრიდან მეორე ცხენით მოვიდა. ის ცხენიც სათივესთან თათლას ახლო დააბა და, გიშერას ამბავი რომ შეიტყო, იმ წამსვე დატრიალდა: წამლების ყუთიდან ამოიღო რაღაც მალამო, ჩვარს წაუხსვა და აძაგდაგებულ ძაღლს თა-

ვი შეუხვია. პაპასაც ძლიერ უყვარდა ერთ-
გული და ჭკვიანი გიშერა. სასიკვდილოდ
ძლიერ ენანებოდა და მითხრა:—გალმა გა-
ვალ და ბეითალს მოვუყვან, იქნებ როგორ-
მე გადაარჩინოსო—სთქვა მან—და ზეზე
რომ წამოიწია და სათივისკენ გაიხედა, ღი-
მილით მომპართა—„ერთი შეხედე იმ ცხე-
ნებს, რა პოზით დგანანო“... გავიხედე და
მეც გამეღიმა: ცხენები დაღონებული თვა-
ლებით ერთმანეთს შესცქეროდნენ, ცხვირი-
ცხვირისთვის მიედოთ, თითქოს ურთი-
ერთს რაღაცას უზიარებნო. ხან ჩვენსკენ
გამოიხედავდნენ, ოდნავ დაიხვიებინებდნენ
და მერე ისევ ცხვირებს შეაწებებდნენ.
ჩვენ დავცინეთ, მაგრამ იმ ღამეს კი ასეთი
ამბავი მოხდა: თათლას აეწყვიტა, აივანთან
მოსულიყო და მთელი ღამე იქ გაეტარებინ-
ა. დილასისხამზე ავდექი და გარეთ რომ



გაველ, ვნახე: ცხენს ცხვირი მოაჯირის
ჭურჭრუტანაში შემოეყო და მოსულიერებუ-
ლი გიშერა წკმუტუნით ჩიჩვირს ულოკავდა.



ალექსანდრა შანიძე

ჩვენი გაზაფხული

სულ სხვაანადი იყრით შოვა,
ამ გაზაფხულზე კრიალა დილა.
მეღნიერ მამულს. მძლუს, სასკოლგანს,
კვლზე სიმღერებში მოჰქარგავს ცვილიად.

ყოველი სე და ყოველი შიქი,
ყრთუმს გამოსისხამს თმილისის კართან.
ცა საცოვანი, ცა შიქი ლურჯი,
მზიურ ლაქვარდუმს დაფარქვუს მცვეართან.

ყოველი კაცი მომაჯლის თიქრით,
შელადის გულში ებიუმს სადგურს.
პმოუმს, ცა მისი ნათელი სიმრჩნით,
ასალ სიამით უგალთმს მამულს!



ბაბუა საჩიდანის ნაბობი



ვეებერთელა ჭადრის ჩრდილი ნაბადივით გაშლილიყო მწვანეზე. ნიავი შეუძმნეველად ატოკებდა მხარგაშლილ ტოტებს, რომლებზედაც ფოთლები ჩანჩქერის შეფეფებივით შრიალებდნენ.

ჭადრის ჩრდილში საამურ ნიავეთ გულს იგრილებდა ბაბუა საჩიდანის, რომელსაც შვილიშვილები შემოხვეოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ.

— ბაბუა, ჩემო საყვარელო ბაბუა, გვიამბე, შენ რომ იცი ისეთი კარგი ამბები, — მუდარით უთხრა პატარა გურანდიმ.

— გვიამბე, გვიამბე, ბაბუა, — თითქმის ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

— ვიამბობთ, რატომაც არ ვიამბობთ, ოღონდ ყური დამიგდეთ, — ალერსით მიუგო ბავშვებს მოხუცმა, ჩიბუხი მოსწია, ტუჩებიდან ღრუბელივით გამოუშვა ბოლი და დაიწყო:

— ხედავთ, ბავშვებო, იქ რომ ტიტველი მთა მოსჩანს? — და ხელი აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა, ბავშვებმაც მიიხედეს მთიაკენ. — აი, ის მთა ხშირი ტყით იყო დაფარული და შიგ ეშმაკები ცხოვრობდნენ. ხომ იცით, ეშმაკი ადამიანის სახისაა დაახლოებით, ტანი სქელი თმით აქვს შემოსილი, ჯოჯღებიანი რქები აქვს და ბანჯგვლიანი კუდი, ღამე დადის და თვლებს ცეცხლივით ანათებს. სოფლის ხალხი მას ქაჯს ეძახოდა.

მე მაშინ თქვენზე უფროსი ვიყავი, ასე 15-16 წლისა. გული მერჩოდა, ძარღვებში სიახლი მიდუღდა, ღამე სიარულაა ან მეშინოდა.

ერთ საღამოს მამაჩემმა ბიძასთან გამაგზავნა, ბიძა კი იმ ტყის იქით ცხოვრობდა. ტკბილმა საუბარმა და ვახშამმა შემიყოლია. წამოავლის დროს ვიგრძენი, რომ საქმაოდ დავაგვიანე. არემაზე ძლიერ ჩამობნელებულიყო, თითქოს კუპრი გადაუსხამთო ქვეყნისათვის.

— ბიჭო, ნუ წახვალ, სამიში ღამეა, ტყეში ქაჯი შეგქამაო, — მითხრა ბიძაჩემმა.

— მე ვერაფერი შემეჭამს მეთქი, — მედიდურად ვუპასუხე და გზას დავადექ. გზა კი იმ ტყეში გამთივლიდა, — საჩიდანის ისევე მთისკენ გაიშვირა ხელი. — ტყე მეტად ხშირი იყო, ბნელ ღამეს კიდევ უფრო აბნელებდა. შიშს სრულიად არ ვგრძნობდი, მაგრამ, ტყის სიღრმეში რომ შევედი, ჩემდაუნებურად გავიფიქრე: ვაი თუ მართლა შემეჭამოს ქაჯმა-მეთქი. ამ უნებურმა ფიქრმა და მისი საშინელი რქებისა და თვლების წარმოდგენამ ძლიერ შემაშინა, მაგრამ დაბრუნება მაინც ვიუკადრისე. ვიფიქრე: ხომ დამციენებს ბიძაჩემი, ხომ მეტყვის, არ ყოფილხარ ვაჟკაცი, ღამე სიარულის გეშინიაო.

მე შემთხვევით ნაჯახი მომჭონდა, მომარჯვებულად დავიჭირე, — ქაჯი კი არა, თუ გინდ, ვეფხვი შემხვდეს მეთქი. გული გავიმაგრე და გზა განვაგრძე. თვალი ვერაფერს ხედავდა, მაგრამ შეჩვეული ვიყავ აქ სიარულს, გზა არ მეშვებოდა.

მივდიოდი, თან მეშინოდა, თანაც გულს ვიმაგრებდი და ნაჯახის ტარს ხელს ვუჭერდი. ხშირად აქეთ-იქით ვიხედებოდი. როცა შუაგულ ტყეში შევედი, ჩემი შიშის მოლოდინი გამართლდა: უეცრად ქაჯი ამოძვრა მიწიდან. თვალებს ცეცხლივით აბრიალებდა. პირი დაეღო, კბილებად ნაკვერცხლები ჰქონდა. წამოვიდა ჩემსკენ. მე უკვე თავს იმედს ვეღარ ვაძლევდი. შიშისაგან კინაღამ წავიქეცი. თმა ყალყზე დამიდგა, ცივი ოფლი დამასხა. ვიფიქრე: ეს არის ჩემი აღსასრული. შიშით აღარ მესმოდა, ვიდექი, მივდიოდი თუ ის მოდიოდა. არა, მომიახლოვდა, პირი კიდევ უფრო დააღო...

ბავშვები მართლაც შიშის ქრუანტელმა აიტანა. ყველანი სულგანაბული უსმენდნენ ბაბუა საჩიდანს. ისეთი სიწყნარე იყო, თითქოს არავინ სუნთქავდა.

მოხუცმა კვლავ მოსწია ჩიბუხი, კვლავ ღრუბელივით გამოუშვა ბოლი მომღიმარე ტუჩებიდან.

— გაქცევაც ვეღარ მოვახერხე. გადაწყვიტე: ან სიკვდილი ან სიცოცხლე მეთქი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ნაჯახი თავში დავარტყი ქაჯს. იმ წყეულმა მოქნულ ნაჯახს ხელები სტაცა და წამართვა. მოვსწიე ნაჯახის ტარს, მიწოდდა კიდევ დამერტყა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გა-



მოვგლიჯე ხელიდან. ნაჯახს ხელი ვუშვი და რაც ძალი და ღონე მქონდა მოვკურცხლე. შიშით გზაც ამერია, რამდენჯერმე ხეს დავეტაკე, რამდენჯერმე წავიქეცი. კაო ხნის შემდეგ მივიხედე, და, რას ვხედავს ქაჯს აუშვევრია ჩემი ნაჯახი და მომდევს. ახლა კი დავიღუბე მეთქი და ვიყვირე: დედა!... მიშველე!...

დედაჩემს გაეგონა ჩემი ხმა და ეზოდან გადმოძახა:

— რა იყო, შვილო, ნუ გეშინია, აქა ვარ, — დედაჩემის ხმა რომ გაეგონე, იმედი მომეცა, ცოტათი გაემხნევედი, გონება მოვიკრიბე, სული ამოვითქვი. უკვე ჩემს ეზოსთან მივსულიყავ.

ალაგესთან დედაჩემი შემომეგება.

— რა იყო, შვილო, რამ შეგაშინა?

— ქაჯმა კინალამ შემჭამა, ნაჯახი წამართვა, შემდეგ უკან გამოხედევნა მეთქი. სულმოუთქმელად ვუამბე დედას.

მან გულში ჩამიკრა, ჩემი გული გაჭენებული ცხენის ფეხებივით ბაგუნობდა.

— ნუ გეშინია, შვილო, — უცებ სახლში შემიყვანა, კარები ჩაკეტა, — სახლთან არ მოვიდეს ის წყეულიო, — გულზე მიმიკრა, შეშინებულის ლოცვა დამიწყო. შუბლზე ხელს მისვამდა, მეფერებოდა. როცა მომაგონდებოდა, რომ ჩემი ნაჯახით ქაჯი უკან მომსდევდა, თოფნაკრავივით შეგზტებოდი, დედა მაშინვე წამოდებოდა და ლოცვას დაიწყებდა. თავზე ისევ ალერსით მისვამდა ხელს.

ამ ყოფაში ვერც კი გავიგე, როგორ ჩამეძინა.

ბავშვები ისევ სულგანაბლუნი უსმენდნენ. პატარა გურანდის ლოყები აწითლებოდა. ბაბუა სარიდანმა ყალიონი გამობერტყა.

მეორე დღეს, — როცა მომხეურდა, ისევ

მომიხდა იმ ტყეში გავლა, — განაგებდა მისი ხუცმა. — რა თქმა უნდა, ახლა არაფრის მესინოდა, ვიცოდი რომ ქაჯები დღისით არ გამოლიონდნენ ბუნავიდან.

მიუუახლოვდი იმ ადგილს, სადაც წინაღამეს ქაჯი დამიხვდა, და რას ვხედავ საკვირველს, აგერ ჩემი ნაჯახი ღრმად ჩასობილია გატეხილი ხის დამპალ კუნძში, რომელიც, დაახლოებით, წელამდე მომწვდებოდა. ნაჯახი იმდენად ძალოვნად დამერტყა, იმდენად ღრმად ჩასულიყო ხეში, რომ ამოძრობა გამიჭირდა.

ბავშვებმა ვუღიანად გადაიხარხარეს. შიშის გოძნობა უეცრად გაუქრათ.

— ბაბუა, ხის კუნძმა როგორ შეგაშინა?

— ხალხში ცრურწმენა ბუღობდა, შვილებო, მეც მჯეროდა, თითქოს არსებობდა რაღაც ეშმაკი. ამ შემთხვევით დავრწმუნდი, რომ არც ქაჯი არსებობდა არც სხვა რამ მავნე. მას შემდეგ არასოდეს შემშინებია. ღამითაც მრავალჯერ მივლია, მიუვალ ადგილებშიც ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი რწმენა, ეშმაკის არარსებობის შესახებ, არაფერს შეუტცვლია.



— კი მაგრამ დამპალი ხის კუნძი როგორ ანათებდა? — კითხა ცნობისმოყვარე გურანდიმ ბაბუას.

— მე შემდეგ ღამითაც ვნახე ის ხის კუნძი, დამპალ ხის კუნძს, თურმე, აქვს ღამით განათების თვისება.

ბავშვები გამხიარულდნენ. მიიხედეს იმ მთის კალთისაკენ, სადაც ბაბუა სარიდანს ვითომ ქაჯი დახვედროდა. იქ ტყე აღარ არის, ჩაის პლანტაცია გაუშენებია კოლმეურნეობას.

მეორე დღეს გურანდიმ სკოლაში გაიგო, რომ დამპალი ხის ნათებას იწიოეს მანჭკალა სოკო, ან სიღამპლისაგან გამოყოფილი ფოსფორი.

ორი ძმა

(წლავარი)

ორი ძმა ობლად დარჩა. პატარაობიდანვე ბევრს შრომობდნენ, მაგრამ ლუკმა-აურს ძლივს შოულობდნენ; რასაც იშოვნიდნენ, შუაზე იყოფდნენ. უფროსს უმცროსი ებრალებოდა, პატარააო, დიდ ნატებს პურს მას მისცემდა ხოლმე, უმცროსი უფროსს ჰკერძავდა, ჩემზე დიდია, მეტი საქმელი სჭირდებაო.

გაიარა დრომ... ობოლი ძმები გაიზარდნენ და დავაუკაცდნენ. განაგრძობდნენ ტყეილად და შეთანხმებულად ცხოვრებას. პატიოსანი შრომით თავს კვლავ ძლივს ირჩენდნენ. არა გააჩნდათ რა. არ იცოდნენ სად დაუღამდებოდათ ან სად გაუთენდებოდათ. ერთმანეთი კი ისევ ისე უყვარდათ.

ერთ დღეს ძმები თავიანთ საყვარელ ტყეს ეწვივნენ, ჩრდილში წამოწვნენ და ბაასობდნენ. უფროსმა უთხრა უმცროსს:— შეხედე, ძმაო, ამ ტყეში მცხოვრებ ცხოველებსა და ფრინველებს, თვითული მათგანი თავის ოჯახზე ზრუნავს, ფრინველი რასაც იხელთებს ნისკარტი ბუდეში თავის ბარტყებს უზიდავს, ხოლო ცხოველი სორში მიათრევს, რომ გამოკვებოს ოჯახი.

—მეც ყარგა ხანია თვალს ვადევნებ მათ ყოფას, სიამოვნებით შეგყურებ და ვტკბები მათი ფაციფუტით. ჩვენ რომ პატრონი გვყოლოდა, ჩვენთვისაც იზრუნებდნენ, — უპასუხა უმცროსმა ძმამ.

—განა ჩვენ ისე პატარები ვართ, ჩვენს თავს ვერ მოუღაროთ? ალერსით უთხრა უფროსმა. — იცი რა, ერთი აზრი მინდა გაგიზიარო!

—მითხარი ძმაო, ვისმენ, შენ ჩემი უფროსიცა ხარ და ერთგულიც, რასაც მიჩქევ, გაგიგონებ.

—ძმაო, მოდი გამოვიცვალოთ ადგილსამყოფელი, ვინ იცის რას გვიქადის მომავალი. სხვაგან შეიძლება უკეთესი პირობები გამოგვიჩნდეს, უკეთესი სამუშაო ვიშოვოთ. ერთმანეთს კი ნუ დაეკარგავთ. რას იტყვი?!—მოეწვია უფროსი ძმა უმცროსს.

—ჩინებულაია, ჩინებული აზრია. დაუდასტურა უმცროსმა.

ძმები რომ საუბრობდნენ, მათ თვალწინ ტყის სხვადასხვა ფრინველები, წვრილფეხა ცხოველები და მწერები ჩვეულებრივ ფუსფუსებდნენ. დაენახათ ძმებს ნაჩვევი ტყის დაშორება, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს წასვლა.

გაუდგნენ გზას.

ზაფხულის ცხელი დღე იყო. იარეს, ბევრი იარეს... სიცხემაც შეაწუხა, მოშივდათ და მოწყურდათ კიდევაც, მაგრამ გზაზე ვერც საქმელი იშოვეს, ვერც სასმელი. მიდიოდნენ ჩუმად, მიდიოდნენ ხელიხელჩაკედლებულნი, ჩრდილი დაინახეს, შეისვენეს. კვლავ გზას გაუდგნენ. შემოალამდათ. უფროსი ძმა სინახულით ფიქრობს: რად ავიჩეხე ადგილის გამოცვლა, ვაითუ უტხო ადგილზე ისიც ვერ ვიშოვოთ, რასაც ვშოულობდითო, ჩემი ძმა სუსტია და არა გაუჭირდეს რაო.

ამ დროს ძმებმა მწყემსები დაინახეს, მათთან მივიდნენ, მიესალმნენ. მწყემსებმა ძმები ვახშამზე მიიწვიეს, კარგად გაუმასპინძლდნენ, ღამე გაათევინეს, დილით კარგაძალი საგზალი გაატახეს და გზა დაულოცეს.

ძმებმა რამდენიმე დღე იარეს, ვიდრე საგზალი საკმაო ჰქონდათ, არხეინად მიდიოდნენ, ხოლო როდესაც შემოეღიათ შეთანხმდნენ მახლობელ გზაჯვარედინზე გაყრილიყვნენ და ცალ-ცალკე წასულიყვნენ სამუშაოს საძებნელად. შეღამებისას მიადგნენ გზაჯვარედინს.

შუაგზაზე სვეტი იდგა, ზედ ეწერა: „მარჯვნივ ვინც წავა, — მეფე გახდება, მარცხნივ ვინც წავა, — გამდიდრდება“.

ძმებმა წაიკითხეს და ერთმანეთს გადახედეს. უფროსმა უთხრა უმცროსს: — შენ მარჯვნივ წადი, მეფე გახდები, მე კი მარცხნივ წავალ — გამდიდრდები. უმცროსმა უპასუხა: — არა, ძმაო, შენ უფროსი ხარ, მეფობა შენ გეკუთვნის, შენ წადი მარჯვნივ, მე კი მარცხნივ წავალ, ვნახო, როგორ გამდიდრდები, ხოლო ერთმანეთი რომ არ დაეკარგოთ, ამ სვეტთან შეხვდეთ ხოლმე ხშირად.

გადაკოცნეს ძმებმა ერთმანეთი და წავიდნენ. მარჯვნივ უფროსი, მარცხნივ — უმცროსი.

მარჯვნივ წასულმა უფროსმა ძმამ იარა, მივიდა ერთ ქვეყანაში, მიდგა-მოდგა, ღამის გასათევს ეძებდა, ერთი ქოხის ეზოში შევიდა; ძაღლმა ოაიყეფა, ძაღლის ყეფის ხმაზე სახლიდან ქალმა გამოიხედა, დაინახა რა ახალგაზრდა ვაჟი, მიიწვია თავის ქოხში. მიეგება, ხელ-ფეხი დააბანინა, სუფთა ლოგინი გაუშალა, მოასვენა, საქმელი კი არაფერი ჰქონდა, რომ მიეწოდებინა, რის გამო სირცხვილით იწვოდა. სტუმარმა მშვიერმა დაიძინა.



მასპინძელი ქვრივი, ღარიბი მოხუცი იყო, მაგრამ ძალიან გულკეთილი, თუ კი ვინმე ქოხში შესვლას იკადრებდა, მიიღებდა და გაუმასპინძლდებოდა, რითაც შეეძლო.

გათენდა დილა. მასპინძელმა სტუმარს წინასწარვე დასუფთავებული ტანსაცმოსი მიართვა და ხელპირი დააბანინა. სტუმარმა დიდი მადლობა გადაუხადა, წასვლა დააპირა. ღარიბი მასპინძელი შეწუხდა ვაჟს მშვიერს რომ ისტუმრებდა და მორცხვად უთხრა:

— შვილო, უხემსო მიდიხარ ჩემი ოჯახიდან და რადგანაც გეჩქარება, შეძლებისდაგვარად მინდა გცე პატივი, ნუ დამძრახავ დედაშვილობას.

სტუმარი უნებლიეთ შეჩერდა, მასპინძელი ძირკუთხეში მიტრიალდა, ერთი ღერი თავლის სანთელი მიაწოდა სტუმარს და დასძინა:

— წაიღე შვილო ეს სანთელი წადი ქალაქგარეთ. სასახლის ბაღში. იქ ჯამაათია თავმოყრილი. ჩვენს ქვეყანას მეფე გარდაეცვალა, მას ერთადერთი ქალიშვილი დარჩა. მეფის ასული და უხუცესები სასახლის ბაღში სხედან და თვალს ადევნებენ ბაღში შემსვლელ ჭაბუკებს. ვისი სანთელიც უცეცხლოდ აინთება, მეფის ასული მისი ცოლი გახდება და ჩვენი ქვეყნის მეფეც ის ბედნიერი იქნება. აი ამის გამო, დღეს ყოველი მზრიდან იქით მიიჩქარიან ახალგაზრდა



ვაჟები ბედის სასინჯად. აიღე, შვილო, ეს სანთელი, ვინ იცის იქნებ ბედმა გავიჭრას, მეფე გახდეს და ეგებ მეც არ დამივიწყო. ვსინჯავ ბედსო, იფიქრა ვაჟმა, — გამო-

ართვა სანთელი მოხუც ქვრივს, ~~არაღიანად~~ ლობა გადაუხადა და გასწია სასახლისკენ. ლისაკენ. ქოხს გასცდა თუ არა, დაინახა აუარებელი ხალხი, რომელიც სასახლისაკენ მიიჩქაროდა. ისიც ხალხში შეერია და აი რა შეამჩნია: გზაზე ერთი მოხუცი ბრმა კაცი მიდის ყავარჯნით, მას ხალხი ეჯახება, ბრმა ხან ორმოში ჩაეარდება, ხან ქვას წამოჭკრავს ფეხს, საშინელ წვალებათა, მაგრამ მისთვის არაფერს სცალია.

ვაჟი მეტად განაცვიფრა და გააბრაზა გამვლელ-გამომვლელთა უსულგულობამ. მიუახლოვდა ბრმას, მოჰკიდა ხელი და ბინაზე მიიყვანა. ბრმამ მადლობის ნიშნად ვაჟი დალოცა: — ვინცა ხარ შვილო, სულ ერთია, მე ბრმას და უსინათლოს, რომ ყური მათხოვე, გადაჩენას გადამარჩინე, იხაროს შენმა სიყრმემ, ნათელი იყოს შენი გზა და საგალიო.

ვაჟი კმაყოფილი გამობრუნდა ბრმის ბინიდან და გზას გაუდგა. აი მიაღწია კიდევაც სასახლის ბაღს, ხედავს, მრავალი ჭაბუკი შედის იქ, ხელში სანთლით, მაგრამ აივც ერთის სანთელი არ ინთება უცეცხლოდ. ვაჟმა წამს ფეხი შეაჩერა, ღრმად ამოისუნთქა და შემდეგ, მარჯვენა ხელამართულმა შედგა ფეხი სასახლის ბაღში. უცებ, მის ხელში მყოფ სანთელის თავზე ცეცხლის ენა აკიფდა.

გაუკვირდა ხალხს, ზოგს ბრაზიც მოერიო. — ეს ვინ ოხერია, ვილაც უთვისტომოსა გაეს, ან როგორ აინთო მისი სანთელი, ან რა ღირსია მეფობისათ, ეშმაკობით თუ რაიმე გააკეთაო. ვაჟი კი მიიჩქარის ანთებული სანთლით ხელში, მეფის ასულისა და დიდებულთაკენ. თან მისდევს ხალხი, ანთებულ სანთელს სულს უბერავენ უნდათ გააქრონ, მაგრამ სანთელი უფრო მეტად შექედება.

ვაჟს მეფის უხუცესნი მიეგებნენ და მეფის ასულთან მიიყვანეს. ქალს ვაჟი მოეწონა.

მეფის ასულმა ვაჟს ნება დართო მის გვერდით დამჯდარიყო. ვაჟმა სანთელი უფრო მაღლა ასწია. უცბად ჰაერში ცეცხლის ზოლად მოვარაყებული ასოებით გაივლვა ყველას თვალწინ წარწერამ: „მანათებელი იყავი ბრმისათვის, ამიტომ განათდა შენი სანთელი“. ხალხმა თავისი თვალით დაინახა და წაიკითხა ცეცხლით დაწერილი ეს სიტყვები და დარწმუნდა, რომ აქ არაფითარი თვალთმაქცობა არ იყო.

აირია ჯამაათი, ერთგულნი მეფის ასულს ბედნიერებას ულოცავდნენ, ბოროტნი კი დაიშალნენ.

ვაჟი მეფის სასახლეში მიიყვანეს. საუკეთესო ტანსაცმლით გამოაწყეს და დიდი

ნადიმი გაუშართეს, მაგრამ ის სევდიანი არის, ძმის ჯავრი აწუხებს.

სასახლეში შეამჩნიეს, რომ სასიძო დარღიანია და შეეკითხნენ, რა გაწუხებს გვითხარიო: მან უამბო: ძმა მიცდის გზაჯვარედინზე, დავიგვიანე, იღარღებს, ცოტა ხნით კაცი გამაყოლეთ, მივაკითხავ ძმას და ერთად დავბრუნდებითო.

დატრიალდნენ სასახლეში, მოართვეს მშვენიერი რაში, გააყოლეს რამდენიმე ცხენოსანი მხლებელი.

უფროსს ეჩქარება ძმის ნახვა, მიაქროლებს ცხენს, მხლებლებიც მიჰყვებიან; მიუახლოვდნენ დანიშნულ ადგილს, გზაჯვარედინზე სვეტი გამოჩნდა, მაგრამ იქ ძე ხორციელი არავინ არის. შეკრთა ვაჟი, იფიქრა, ჩემს უმცროს ძმას ნამდვილად რაიმე უბედურება ეწიოა და ცხენს დეზი შემოჰკრა, მაგრამ ამ დროს ტირილის ხმა შემოესმა, ის დაქვეითდა და ნახა კიდევაც თავისი უმცროსი ძმა, რომელიც დასევდიანებული იჯდა სვეტთან. ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ, გაიხარეს, უამბეს რაც გადაჰხდათ დაშორების დღიდან.

მხლებლებმა უმცროსი ძმა შემოსვეს ცხენზე და წაიყვანეს მეფის სასახლეში. იქ დიდის სიხარულით მიიღეს უმცროსი ძმაც; დაიახლოვეს და გაამდიდრეს მოხუცი ქვრივი ქალი, რომელმაც სანთელი შესთავაზა უცნობ ვაჟს და მისი ბედნიერების მიზეზი გახდა.

გადაიხადეს დიდი ქორწილი — მეფედ დედოფალი მზე და მთვარესავით შვენიდნენ ერთმანეთს. მათ ნახვას არა სჯობდა რა;



ქორწილს ყველა ქვეყნის დიდებულნი დაესწრნენ. ღვინო რამდენიმე დღე გაგრძელდა.

კმაყოფილნი დაიშალნენ სტუმრები, ლოცვა-კურთხევით დატოვეს ახლადდაქორწინებულნი.

ახალი მეფე გულისხმერი აღმოჩნდა, კარგად გაუძღვა სახელმწიფოს, მართავდა საქმეს როგორც დიდი გამოცდილების მქონე ბრძენი. ებრალებოდა ღარიბი და ობოლი, უხვად აძლევდა მათ საჩუქრებს. ხალხსაც მეტად შეუყვარდა ახალი მეფე.

მეფე და დედოფალი ხშირად უბრალო ტანისამოსით გამოწყობილი ჩამოდოდა ხალხში, რათა გაეგოთ ვის უჭირდა, ვის რა აწუხებდა, რომ დახმარება აღმოეჩინათ მათთვის.

**ჩაიწერა და დაამუშავა
როზა თავდიდოვილივა**





ასანთის ამყიდველი

ეს საინტერესო ამბავი, რომელსაც თქვენ წაიკითხავთ, სინამდვილეა. ამ ამბის მოხრობელი მდიდარი ინგლისელია. ის ხშირად უამბობდა თავის მეგობრებს და მათზე დიდ მთაბეჭდილებას ახდენდა:

— ერთ დღეს, როგორც კი გამოვედი ჩემი სახლიდან, რომელიც მდებარეობს ლონდონის ერთ-ერთი დიდი ქუჩის კუთხეში, — მოგვითხრობს მდიდარი, — წინ გადმომიდგა სახეგაყვითლებული, დაძინებულ ტანსაცმელში გახვეული, თორმეტი წლის ბიჭი, შემომთავაზა ასანთი, მთხოვა — ქენათ სიკეთე და ერთი კოლოფი ასანთი მაინც გამისადეთო.

ამოვიღე საფულე, გავხსენი, ჩავიხედე, მაგრამ შიგ ოქროების გარდა წვრილი ფული ვერ ვნახე.

„სამწუხაროა, ჩემო პატარავ, — ვუთხარი, — წვრილი ფული თან არ გამომყოლია, ხოლო შინ დასაბრუნებლად არა მცალია.

— ოჰ! ბატონო, არა უშავს რა. მიბოძეთ ეგ ოქრო, მივირბენ რომელიმე მაღაზიაში, დავახურდავებინებ და ახლავე მოგიტანთ წვრილ ფულს.

— მართლა? — ვუთხარი და თვალეში ჩავაცქერდი.

— დიას, ბატონო, მართლა, არ გეგონოთ ენმე ქურდი მაწანწალა.

მის გაყვითლებულ სახეზე რწმენისა და პატოსნების იერი იხატებოდა. მივეცი ოქრო. ის იმწამსვე გაიქცა და ზღვა ხალხში მიიმალა.

განვლო ხუთმა წუთმა, ათმა... მიუხედავად მისი სახის პატოსნური გამომეტყველებისა, მე მაინც დავვეჭვდი. კიდევ ნახევარი საათი დავიცადე. რაკი აღარ გამოჩნდა, განვავარძე ჩემი სეირნობა. ჩემ თავს დაუწყვე საყვედური, ჰკუთა მესწავლა და სხვა დროს ქუჩის ასეთი მაწანწალების ანკეზე აღარ წამოვგებულებიყავი.

რამდენიმე საათის სეირნობის შემდეგ დავბრუნდი შინ. ეს შემთხვევა უკვე დავიწყებული მქონდა. მოსამსახურე მატყობინებს, რომ მოსაცდელ ოთახში ვილაც პატარა ბიჭი მელოდება და ჩემთან საუბარი სურს. პირველი შეხედვისთანავე ეს პატარა ბიჭი ჩემი ოქროს ქურდის მონათესავედ ვიცანი, იმ განსხვავებით, რომ ეს იყო რამდენიმე წლით იმაზე უმცროსი, უფრო გამზდარი, უფრო გაყვითლებული, რომლის სახეზეც რაღაც უსაზღვრო მწუხარება იხატებოდა.

— ბატონო, თქვენა ხართ ის კაცი, ჩემს ძმას — რობერტს ოქროს ფული რომ მიეცით? თავის დაქნევით ვანიშნე, რომ მე ვარ.

ჰო და აგერ ფული, რობერტმა გამომატანა თქვენთვის გადმოსაცემად... ის ჩემი ძმა არის. ჩვენ ობლები ვართ... იმან ვერ შესძლო თვითონ მოსულიყო თქვენთან... ეტლმა გაიტანა, ბატონო, ახლა ის სახლშია... მგონებ, რომ ვეღარ გაუძლებს და მალე მოკვდება!..

საბრალო ბავშვი მწარედ აქვითინდა.

— სად არის? — შევეძახე მე, — წამიყვანე ახლავე და მიჩვენე ის!

დაუყოვნებლივ გამოვედით ჩემი სახლიდან. გავიარეთ მდიდართა უბანი და შევედრიეთ ღარიბ-ღატაკთა ქოხმახების ვიწრო და ბნელ ქუჩებში. ჩემი წინამძღოლი ძალიან ჩქარა მიდიოდა. — აი, აქ არის, ბატონო, — მითხრა მან და გაჩერდა ნახევრად დანგრეული სახლის წინ. ბნელ სარდაფში ჩავედით. გავიარეთ მიხვეულ-მოხვეული და ნესტიანი შესავალი და შევედით ბნელსა და უსუფთაო ოთახში; ბუხრის წინ, რაღაც ძონძებზე გაუნძრევლად იწვა ჩემი ნაცნობი ბავშვი. მისი სახე ახლა უფრო გაყვითლებულიყო და გაჩებილი შუბლიდან მომდინარე სისხლის წითელი ზოლი უფრო ნაზ შეხედულებას აძლევდა მას. მან დაგვიანა,

მიზნედილი თვალები შემოგვანათა და ძლივს
გასაგონი ხმით დაიძახა:

ბატონო, ახლოს მოდიო, თუ შეიძლება.
მე უსიტყვოდ მივუახლოვდი მის სა-
წოლს, დავიხოქე მის წინ და ხელი ჩავეცი-
დე მის პატარა და გაცივებულ ხელს.

ჩააბარე ფული, არა?—შეეკითხა ის ძმას.
—ხომ ხედავთ, ჩემო ბატონო, რომ ქურდი
არა ვარ. მან წამით ლაპარაკი შესწყვიტა.
სახე შეეცვალა და მძიმე მწუხარებამ
მოიცვა.

—ოჰ, ღმერთო ჩემო!—ამოიკენესა საბ-
რალომ და განაგრძო,—შარლემი, ჩემო პა-
ტარა შარლემი, ვინღა იქნება ამის შემდეგ
შენი ყურისმგდებელი... აქამდის მე ვიყავი
შენზე მზრუნველი... და ახლა... ოჰ! ღმერ-
თო, ღმერთო!

გადაბეწყდა ჩემი ვინაობა, დავიხარე,
ვეამბორე მის სისხლით შედებილ შუბლს
და ვუთხარი დამშვიდებულყოფილ, რომ დღეის
შემდეგ მე ვიქნებოდი მისი პატარა ძმის
ყურისმგდებელი. დიდხანს ველაპარაკე, ვა-
ნუგეშე, დავამშვიდე, მისი პატარა ხელი მა-
გრად მქონდა ჩაბღუჯული ჩემს ხელში და
ვგრძნობდი, რომ თანდათან ცივდებოდა.
საბრალო რობერტი აღარც ლაპარაკობდა,
აღარც ოხრავდა, მხოლოდ კმაყოფილებით
აღსაფხე თვალებს სხან მე მომაპყრობდა,
ხან თავის პატარა ძმას—შარლემის.


ამ მდგომარეობაში განუტევა სული ჩემ-
მა პატარა მათხოვარმა, რომელმაც, პირ-



...ერთი კოლოფი ასანთი მაინც
გამისაღეთ!

ველომა ჩემს სიცოცხლეში, მაჩვენა პატარა
ბავშვის სულის სიმშვენიერე და სიდიადე,
შენარჩუნებული ობლობისა და უმკაცრესი
სიღარიბის პირობებში.

ფრანგულიდან სთარგმნა შ. ბერიძემ



ჩვენი პიონერული ცხოვრება



შეხვედრა გვიტანს

მაშინ შემოდგომა იყო. სასწავლო წლის პირველი დღეები. პიონერთა აქტივის ინიციატივით საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი ინასარიძე ეწვია ჩვენს სკოლას. რაზემეულის შეკრებას გმირმა მთრინავმა მოუთხორო თავისი საბრძოლო ცხოვრების ირგვლივ. პიონერებმა გატაცებით მოუსმინეს თავიანთ საყვარელ სტუმარს. შემდეგ გმირი გამოაცხადეს საპატიო პიონერად. რაზემეულის შეკრებამ გმირს მიუძღვნა პიონერული ვაზეთის სპეციალური ნომერი. პიონერებმა შეკრებაზე წაიკითხეს გმირისადმი მიძღვნილი ლექსები.



— წარმტაცია თქვენი გმირული საბრძოლო ეპიზოდები. ჩვენც ვიდღევით პიონერულ სიტყვას: ვიქნებით სწავლის გმირები!—დამთავრა თავისი სიტყვა პიონერმა გიორგი მელითაურმა.

თავიანთი სიტყვა გმირისადმი ღირსეულად გაამართლეს თბილისის ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლის პიონერებმა სასწავლო წლის განვლილ მეოთხედებში.

ლილი ცაგარელი

უფროსი პიონერხელმძღვანელი



ოლიმპიადაზე

პიონერი ეღუარდ ჯიმშელიშვილი სწავლაში ჩამორჩა, უღის-ციპლინო ვახდა. რაზემეულის შტაბმა ის, როგორც უღირსი გაათავისუფლა პიონერული რგოლის უფროსის მოვალეობისაგან. მე, ხშირად ვაფრთხილებდი ამხანაგს:

— რა მოგდის, ეღუარდ? შენ არცხვენ პიონერის სახელს! ის თავისას არ იშლიდა მე კი გული მტკიოდა. პიონერები ემზადებოდნენ ოლიმპიადისათვის. მე უფროს პიონერხელმძღვანელს მივმართე;

— ხელმძღვანელო, ეღუარდს ცეკვა უყვარს, მივალღებინოთ მონაწილეობა სასკოლოსარიონო თვითმოქმედ წარების ოლიმპიადაში, ვინძლო დაინტერესდეს.

ეღუარდი რაზემეულის შტაბში დავიბარეთ და განვუცხადეთ:— შენ როგორც კარგმა მოცეკვავემ მონაწილეობა უნდა მიიღო ოლიმპიადაში; ვინძლო გვასახელო! მაგრამ ერთიც არის, სწავლაში რომ ჩამორჩები, ეს კარგი არაა!

ყმაწვილი გაწითლდა. იმ დღეს ეღუარდმა პიონერული პირობა დასდო ნიშნებს გამოვასწორებო. დამთავრდა სასწავლო წლის მეორე მეოთხედი. ეღუარდს არც ერთი ორი არ ჰყოლია. მოვიდა გაზაფხული... საგაზაფხულო არდადეგების წინ კლასის ხელმძღვანელმა ეღუარდის ქება სთქვა.

შობალოვდა ოლიმპიადის დღეც. გორკის კლუბში სარიონო ოლიმპიადაზე თავი ისახელეს პიონერებმა: კატაკუიშვილმა, არჩვაძემ, გლოველმა თავიანთი ცეკვებით, მათ შორის საყოველთაო მოწონება ხვდა წილად პიონერ ეღუარდ ჯიმშელიშვილს.

პიონერი ოთარ მელაძე

რაზემეულის შტაბის უფროსი



ჩვენს სკოლაში მე-5 რაზმის პიონერულმა შეკრებამ მოიწონა მოსკოვის 246-ე სკოლის მიკლუხა — მაკლაის სახელობის პიონერთა რაზმის ინიციატივა მშობლიურ მხარეში მოგზაურობის შესახებ. შეკრებამ მიიღო გადაწყვეტილება სავაზაფხულო არდადეგების დროს მოეწყო ექსკურსია დიდი ბელადის მშობლიურ ქალაქ გორში, აგრეთვე იმ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

ამავე შეკრებაზე პიონერებმა გური გაციტაძემ, ანზორ წიკლაურმა, რეზო თოდუამ და ბერიშვილმა გამოსთქვეს სურვილი გვეთხოვა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციისათვის მოეთავსებია წერილი დიდი მოგზაურის მიკლუხა — მაკლაის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ. რედაქციამ თხოვნა შეგვისრულა.

დიდი სიხარულით ვეწვიეთ სავაზაფხულო არდადეგების დღეებში ქალაქ გორს, დავათვალიერეთ სახლი, სადაც დაიბადა დიდი სტალინი. ამ ექსკურსიამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

ჩვენი სკოლის პიონერები პროგრამულ მასალასთან დაკავშირებით აგრეთვე ვიწვიეთ საქართველოს მუზეუმსა, სადაც მრავალი საინტერესო ცნობა მივიღეთ ქართველი ხალხის სახელოვან წარსულზე.

ეს შესანიშნავი წამოწყება — მოგზაურობა მშობლიურ მხარეში რიგ გვიზიდავს თვითუღ პიონერს. მესამე პიონერული რაზმი ამ დღეებში მიემგზავრება მცხეთაში, სადაც თვითუღი ჩვენთაგანი თვალნათლივ იხილავს ჩვენი სახელოვანი წარსულის უძველეს დროინდელ მატერიალურ ძეგლებს, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენი ცოდნის მარაგს.

პიონერი ნოდარ ცინაძე



ყოჩაღ, პიონერებო!

ჩვენს პიონერულ შტაბში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დავალებათა თანასწორ განაწილებას. მეშვიდეკლასელი პიონერი იმარ თუშიშვილი გაზეთ „პიონერის“ რედაქტორია. მხატვრული კითხვის წრეს ხელმძღვანელობს მეოთხეკლასელი პიონერი აკაკი ძამაშვილი. ცეკვის წრეს — გივი კაჭკაჭიშვილი.

10 თებერვალს, საზეიმოდ შორთულ მოკაზმულ თბილისის 94 საარჩევნო უბანში დიდიდანვე გაისმა მხიარული ხმები, პიონერებმა მოიტანეს პატეფონი, ბაიანი. ჩვენ ვმორიგეობდით ამომრჩეველთა ბავშვების ვასართობად. შემდეგ გაიმართა პიონერთა კონცერტი. პიონერები ცეკვავდნენ, მღეროდნენ. მხატვრულად კითხულობდნენ საბჭოთა პოეტების ლექსებს. თავი ისახელეს კონცერტის მონაწილე ამხანაგებმა ლორთქიფანიძემ, ძამაშვილმა, გოცაძემ, მახარაძემ.

კონცერტის დასასრულს მოხუცმა ამომრჩეველმა, ძველმა რკინიგზელმა მუშამ თავისი ალტაცება ვერ დამალა, თავისთან მოიხმო რაზმეულის შტაბის უფროსი პიონერი ოთარ მელაძე, მამაშვილურად ხელი მოხვია და უთხრა:

— თქვენ გაიხარეთ, კარგებო! ამ ბედნიერ დღეს, როგორც მე გამახარეთ, ყოჩაღ, პიონერებო!

პიონერი გიორგი მელითაშვილი



უსნობი მხატვარი

მე-17 საუკუნის სახელგანთქმულ ესპანელ მხატვარს მურილოს სამხატვრო სტუდია ჰქონდა, სადაც სტუდენტებს ფერწერას ასწავლიდა.

სტუდენტები საყვარელ მასწავლებელს პოქრალყნით ექცეოდნენ და თითოეული მათგანი ამაყობდა იმით, რომ ცნობილი მურილოს მოწაფე იყო.

ყოველ დილას ისინი სტუდიაში იკრიბებოდნენ და გატაცებით უსმენდნენ ძვირფას ადამიანს.

მაგრამ ბოლო ხანებში მურილო ჩაფიქრებული დადიოდა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ მას სტუდიაში შესვლისას, ლამაზი, დაუმთავრებელი სურათები ხვდებოდა. უდავო იყო, რომ ვიღაც ამ სურათებს ღამ-ღამობით ხატავდა, მაგრამ არავინ იცოდა, თუ ვინ იყო ის.

ერთ დილას მურილო ჩვეულებრივზე ადრე გაემართა სტუდიისაკენ. შიგ შევიდა თუ არა, დაინახა სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც უჩვეულო სილამაზის დაუმთავრებელი სურათის წინ იდგა.

— ო, რა ლამაზია ეს პორტრეტი!

— რა მშვენიერია.

— ნეტავ ვინ არის შემოქმედი ამ საოცრების? ისმოდა ხმები.

მურილო გაოცებული მიაჩერდა სურათს. სტუდიაში სიჩუმე ჩამოვარდა.

დიღხანს უმზერდა იგი მღუმარედ. შემდეგ სტუდენტებს მიუბრუნდა და წარმოსთქვა: „იცოდეთ, ვინც ეს საუნჯე დაგვიტოვა, ის მომავალში უდიდესი ხელოვანი იქნება. მითხარით, რომელმა თქვენგანმა დახატა იგი?“

სტუდენტებმა ერთმანეთს გადახედეს და შემდეგ ერთხმად უბასუხეს, ჩვენ არ დაგვიხატავსო.

— სებასტიან, — მიუბრუნდა მურილო თავის ახალგაზრდა მონას, რომელიც იქვე იდგა და კანკალებდა, — იყო ვინმე სტუდიაში წუხილ?

— არა, ბატონო. ჩემს გარდა არავინ.

— შენ ხომ ზედავ, რომ ეს სურათი და-

ხატულია ღამით. შეიძლება ამის დამწყები დღესაც მოვიდეს დასამთავრებლად. ეს სურათი მის შთაგონებას როგორც ანდამატი ისე მოიზიდავს. თვალყური ადევნე, არ დაიძინო. იცოდე, აუცილებლად უნდა გაიგო, თუ ვინ არის ამ ლამაზი პორტრეტის ავტორი, წინააღმდეგ შემთხვევაში მე მომიხდება სამაგალითოდ დაგსაჯო შენ.

მონა მღუმარედ იდგა.

ვინ იცის, რას ფიქრობდა ის!

მოსალამოვდა.

სანთლები აანთეს.

ქუჩებში ფეხის ხმა თანდათან მისწყდა.

სებასტიანმა გადარაზა სტუდიის კარი, შემდეგ საწოლი დაუმთავრებელი სურათის გვერდით დადგა, ტანთ გაიხადა და მალე ოთახში მისი ხშირი სუნთქვა გაისმა.

ბორგავდა ძილში. ტრიალებდა.

ალბათ, რაიმე ბოლომდე არ ასვენებდა.

აჲ ეძინა მას სამ საათამდე.

შემდეგ წამოდგა, ანთო სანთლები, ჰაჩერდა სურათს და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ოცდათხუთ საათში, მხოლოდ სამი საათი მეკუთვნის. დანარჩენი დრო კი ჩემი ბატონის საკუთრებას შეადგენს, ნუ თუ ვერასოდეს ვერ ველირსები ვიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი? როდემდე უნდა შევადგენდე სხვის საკუთრებას, ნივთი ვარ განა?

მან ფუნჯი აიღო და დააპირა წაეშალა სურათი.

— არა, არ შემიძლია წაეშალო იგი, არ შემიძლია, ნაღვლიანად წამოიძახა მან. — ო, რაოდენ ლამაზი და მშვენიერია ეს, ჩუმი პირმო. მე ხომ მასში მთელი ჩემი გრძნობა ჩავაქსოვე, მის თვალებში რომ სევდა მოსჩანს, ეს ხომ ჩემი სევდაა, სევდა თავისუფლების მონატრული ადამიანისა. კერა წაეშლი, ვერა. ჯერ კიდევ საკმარის დროა გათენებამდე. უკეთესია დავასრულო და მეჩერე რაც მომივა მომივიდეს.

სებასტიანი მუშაობას შეუდგა.

იგი მუშაობდა გრძნობით, გატაცებით, ოსტატურად ამოძრავებდა ფუნჯს, არჩევ-

და ფერებს და სურათი უფრო და უფრო მშვენიერდებოდა.

მუშაობდა და ვერც კი გაეგო, თუ როგორ დაათენდა თავს, როგორ მოეპარა დალა.

უცებ, რაღაც ხმაურმა აიძულა თავი აეწია. მურილო და მისი სტუდენტები აღტაცებულნი მისჩერებოდნენ მას. სებასტიანს ფუნჯი ხელიდან გაუვარდა, წელში მოაზარა და ლამის შემოქმედი დღისით ისევ მონად იქცა. მის თვალებში ჩაჰქრა ის ცეკხილი ხელოვანისა, რომელიც ნაკვერცხალივით ჰღვიოდა ხატვის დროს. თავდახრალი, იგი თავის განაჩენს მოელოდა.

მურილო გამოერკვა პირველი. მან რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა წინ, სებასტიანს მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა.

— ვინ არის შენი ოსტატი, სებასტიან?

— თქვენ ბატონო.

— არა, მე მაგას არ გეკითხები. მე მაინტერესებს გავიგო, თუ ვინ გასწავლა ხატვა!

— თქვენ ბატონო.

— მე! კი მაგრამ, მე ხომ შენთვის არასოდეს არ მომიცია გაკვეთილი?

— მართალია, ბატონო. მაგრამ თქვენს

სტუდენტებს ხომ აძლევდით გაკვეთილებს, მე კი ვუსმენდი.

— ყოჩაღ, კარგად მოქცეულხარ, მურილო! ვე დასრულებული ხელოვანი ხარ. შემდეგ თავის სტუდენტებს მიუბრუნდა და შეეკითხა: როგორ მოვექცეთ მას, ჩემო ძვირფასო მოწაფეებო! რას ისურვებ, სებასტიან?

— მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს გულში. თავისუფლება მომეცით, ბატონო.


— შენი ფუნჯი შენს უდიდეს ნიჭს ამჟღავნებს. შენი სურვილი კი გვიჩვენებს, რომ გრძნობაც გქონია. დღეის შემდეგ შენ მონა აღარა ხარ, ჩემი შვილი ხარ, სასურველი და საყვარელი.

თავისუფალ სებასტიანს სიხარულის ცრემლები მოსჩქებდა თვალიდან.

ესპანეთში ახლაც მრავლად მოიპოვება ლამაზი სურათები, რომლებიც მურილოსა და სებასტიანის მიერაა შესრულებული.

თავისუფალი თარგმანი ინგლისურიდან
გიმინა ფერაძისა

ნახატები ვ. ბელეცკაიასი





უძველესი დროის ხელოვნების ძეგლებიდან ქებითა და დიდებით მოიხსენიება შვიდი ძველი, რომლებსაც თავისი მომხიბვლელობითა და გრანდიოზულობით განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა, ვინც მათ ნახავდა. ეს ძეგლებია: ჰალიკარნასის მავსოლეონი, ქეოფისის პირამიდა, ფაროსის შუქურა, როდოსის კოლოსი, სემირამიდას დაკიდებული ბალები, ოლიმპის ზევსი და არტემისის ანუ დიანას ტაძარი.

ყველა დროის მწერლები, მეცნიერები, ხელოვნებათმცოდნეები, რომელიმე მათგანს რომ ახსენებენ, იტყვიან ხოლმე—ერთ-ერთი საოცრება „ძველი სამყაროს შვიდ საოცრებათა“ შორისა.

ამ ძეგლებსა ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა გაუთქვეს სახელი საქვეყნოდ. პირველი ისინი იყვნენ, ამ ძეგლებს ხელოვნების საოცრებანი რომ უწოდეს. ზოგიერთი მათგანი უკვე აღარ არსებობს, უკვალოდ და სამუდამოდ გაჰკრნენ და მათ შესახებ თუ რამე ვიცით, მხოლოდ ბერძენ-რომაელთა მწერლების აღწერიდან.

გავიცნოთ ეს საოცარი ძეგლები იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მეცნიერებსა მოეოვება ამაჟამად.



I. ჰალიკარნასის მავსოლეონი

„ჰალიკარნასის მავსოლეონის“ სახელწოდებით ცნობილია ჰერაკლის სამეფოს (მცირე აზია) სამხრეთ-დასავლეთი ოლქის კარიის საბრავ მავსოლოსის „ტაძარი-აკლდამა“.

სატრაპი მავსოლოსი (ძველი წელთაღრიცხვის 377-353 წლები) კარიის დამოუკიდებელ მბრძანებლად ითვლებოდა და მისი სიკვდილის შემდეგ ამ ოლქის მმართველობა მემკვიდრეობით მისი მეუღლის არტემიზიას ხელში გადავიდა. კარიის მთავარ ქალაქ ჰალიკარნასში ჯერ კიდევ მავსოლოსის სიკვდილში დაწყებული ყოფილა „ტაძარი-აკლდამის“ აგება. მავსოლოსის სიკვდილის შემდეგ ეს „ტაძარი-აკლდამა“ არტემიზიას დაუთმავრებია და თავისი მეუღლის სახელის უკვდავსაყოფად მავსოლეონი უწოდებია.

ჰალიკარნასის მავსოლეონი ანტიკური (ძველებური, კერძოდ, ამ შემთხვევაში, ძველი ბერძნული) ხელოვნების ერთ-ერთ უდიდეს მღწვევად ითვლებოდა როგორც არქიტექტურის, ისე სკულპტურის მხრივ.

მავსოლეონის არქიტექტურულ ფორმებში შერწყმული იყო იონიური სვეტებიანი ტაძარი—დიპტეროსი და აღმოსავლური საფეხურებიანი პირამიდა.

სვეტებიანი ტაძარი დადგმული იყო ფლაქებისაგან აშენებულ ვეებერთელა მასიურ ნაგებობაზე, რომელიც, თავის მხრივ, აღმართული იყო თითქმის კვადრატის ფორმის დაბალ შვერილ ფუძეზე. სვეტებიანი ტაძარი მცირე მოცულობის ოთახს შეიცავდა და სვეტებს შორის ქანდაკებები იყო ჩამწკრივებული.

რაც შეეხება საფეხურებიან პირამიდას, ის მთლიანად მავსოლეონის სახურავს შეადგენდა. იგი წაკვეთილი პირამიდა იყო, 24 საფეხურისაგან შესდგებოდა და მარმარილოსაგან ყოფილა ნაკეთები.

პირამიდის ზედა ფუძეზე, შენობის თავზე



ოთხცხენიანი ეტლი—კვანდარიოვ იყო გამოქანდაკებული და მასში მთელი ტანით აღიმართებოდნენ იშვიათი ოსტატობით შესრულებული მავსოლოსისა და არტემიზიას უზარმაზარი მარმარილოს ქანდაკებანი.

კვადრიგაში შებმული ცხენები, ქენებით რომ მოჰქროდნენ, ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ თითქოს ესაა ჰაერში შეაცურებენ ეტლს და თან გაიყოლიებენ მავსოლოსისა და არტემიზიას ქანდაკებებსო.

ეს გასაოცარი შენობა ააგეს სახელგანთქმულმა არქიტექტორებმა პითიოსმა და სატირმა ძველი წელთაღრიცხვის 355-351 წლებში. პითიოსს მიაწერენ აგრეთვე შენობის თავზე წამოდგმულ კვადრიგას, მავსოლოსისა და არტემიზიას ქანდაკებებით. პითიოსი, თურმე, არა მარტო შესანიშნავი არქიტექტორი ყოფილა, არამედ არანაკლებ შესანიშნავი მოქანდაკეც.

არტემიზიას და მავსოლოსის ქანდაკებები საკმაოდ კარგადაა შემონახული. კერძოდ, მავსოლოსის ქანდაკება, რომელიც სიმაღლით 4 მეტრს აღწევს, სამოც ნატუნად ქცეული, მავსოლონიის ნანგრევებში იპოვეს, აღადგინეს და ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია აგრეთვე საუცხოო დეკორაციული სკულპტურებით შემკობილი მავსოლონიის კედლების ის ნაწილები, რომლებიც დაღუპვას გადაარჩინენ.

ეს დეკორაციული სკულპტურები, რომელი მწერლის პლინიუს უფროსის (ახალი წელთაღრიცხვის 23-79 წლები) ცნობით, შესრულებული ყოფილა სახელოვანი ბერძენი მოქანდაკეების — სკოპასის, ბრიაქსისის, ტიმოთეოსის და ლეოქარესის მიერ. აღმოსავლეთ კედელზე მუშაობდა სკოპასი, ჩრდილოეთისაზე — ბრიაქსისი. სამხრეთისაზე—ტიმოთეოსი და დასავლეთისაზე — ლეოქარესი.

აღმოსავლეთი კედლის მაღალი რელიეფით შესრულებულ სკულპტურებში ასახულია ელინთა და ლეგენდარულ მეომარ ქალთა—ამაზონთა ხელჩართული ბრძოლა. გაჭენებული ცხენი და მასზე პირუკულმა




მავსოლოსის ქანდაკება პითიოსისა.

მჯდომი ამაზონი მთელი ფრთხილად საუკეთესო ნაწილია. ბერძენებმა სახული არიან სრულიად მიშველი, უტანისამოსოდ, ხელთ ფარები უზყრიათ, ზოგიერთებს მუზარადი ხურავთ, ამაზონებს კი მოკლე, გვერდზე კაჭრილი კაბები აცვიათ. მებრძოლთა აიცოცხლით სავსე და დინამიკური ფიგურები, მათ მიერ მრისხანედ შეპართული ხელები და მიწას დანარცხებული მეომრები, ბერძენთა კუნთმაგარი ტანის მოქნილი მოძრაობა და გამალებულ ამაზონთა აფარფავებული კაბები ცხარე ბრძოლის ღრმა და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვენენ.

ასეთივე დიდი ღირსების ხელოვნებითაა შესრულებული აგრეთვე საბრძოლო ორთვლიანი ეტლებით შეჯობრება, ელინთა და ზღაპრული ნახევრად-ცხენკაცების — კენტავრების ხელჩართული ბრძოლა, რაც ასახულია სხვა გადარჩენილ ფრესებზე.


აღსანიშნავია, რომ „პალიკარნასის მავსოლონიის“ მიხედვით ყველა გრანდიო-



პალიკარნასის მავსოლონი (რეკონსტრუქცია)

ზულ, მონუმენტურ აკლდამას ჰაერთოდ მავსოლოეუმი ეწოდება.

*) ფრიზი არქიტექტურაში ანტაბლემენტის შუა ნაწილს ეწოდება, ანტაბლემენტი კი სვეტებზე დაყრდნობილი ზედა ნაწილია შენობისა.



II. ქეოფსის პირამიდა




„ქეოფსის პირამიდის“ სახელწოდებით ცნობილია ეგვიპტის ფარაონ ჯეოფსის ანუ ხუფუს პირამიდა.

ირამიდები — ეგვიპტურად „პირომი“ და ბერძნულად „პირამიდოს“ — ფარაონთა უძველესი და უზარმაზარი ქვის საძარხებია, რომლებიც მონათა მძიმე შრომით არის აგებული. პირამიდები ძველი ეგ-

ვიპტური ხუროთმოძღვრების გრანდიოზულ ძეგლებს წარმოადგენენ. თვითეულ მათგანში მარხავდნენ ფარაონის ბალხამირებულ გვაშს — მუმეას, რომელსაც ვიწრო კორიდორებით შეიტანდნენ პირამიდის სიღრმეში მდებარე „მეფეთა ოთახში“.

გზები „მეფეთა ოთახისაკენ“. როგორც ეს აქ მოყვანილი პირამიდის კრილიდან ჩანს, დახლართული იყო. ეს განგებ იყო გაკეთებული, რათა ფარაონის გვამი გაქურდვისა და შეზღუდვისაგან ყოფილიყო დაცული. სად იყო ნამდვილად „მეფეთა ოთახი“ A, B თუ C-ში? ვთქვათ, პირამიდის გარედან მივაკენით შესასვლელს. დავშვებით თავიკვე H კორიდორით, რომელიც მიწის სიღრმეში მიდის. ბუნებრივია, იქ გვეგულდება „მეფეთა ოთახი“. მაგრამ ეს არ გამართლდება. ვბრუნდებით უკან და მივყვებით N კორიდორს.



K-სთან გზის განშტოებას წააწყდებით. ახლა, ალბათ, F კორიდორს გავყვებით, რომელიც ჰორიზონტალურად მიდის და თავისი მდებარეობით პირდაპირ ხაზზე წაგვიტყუებს. მაგრამ აქაც არ აღმოჩნდება „მეფეთა ოთახი“. დაგვრჩენია ავყვეთ E კორიდორს მალა. ახლა ნამდვილად მივადგებით „მეფეთა ოთახს“ C-ში. მაგრამ ამ ოთახში შესვლა არც თუ ისე იოლია. შესასვლელი ჩაკეტილია მძიმე, ზუსტად მორგებული დიდი ლოდით. ეს ლოდი, ვიდრე ოთახში მუშია არ ასვენია, საყრდენებით არის დამაგრებული შესასვლელის გვერდით. როდესაც მუმეას შესვენებდნენ, გამოაცლიდნენ ლოდს საყრდენებს, იგი ჩასტურდებოდა თავის კალაპოტში და ყრუდ და „სამარადისოდ“ ჩაჰკეტავდა ოთახს.

ქეოფსის პირამიდის კრილი

ეგვიპტელები სტუმრებად თვლიდნენ თავს ამ ქვეყნად, ამიტომ იმზადებდნენ ასეთ, როგორც ძველი ბერძნები იტყოდნენ ხოლმე, „მარადულ ავანეს“. ცხადია, ყველაზე უკეთეს და სრულქმნილ „მარადიულ სავანეს“ მეფეები აიგებდნენ...

კეთებულია თეთრი კირქვით, თლილი ქვებითა და ზოგჯერ მარმარილოთიც. მათზე ძველი ეგვიპტური წარწერები — იეროგლიფები არის მოთავსებული, რომლებიც შეიცავენ პირამიდის აშენების მსვლელობის ამბავსა და თარიღს, ზოგჯერ კიდევ მასში დამარხული ფარაონის შესახებ ისტორიულ ცნობებს.

პირამიდები ახლაც არსებობენ და, რიცხვით 70-ზე მეტი, განლაგებული არიან

გასაოცარია ეს გიგანტური ძეგლები თავისი ზუსტი გეომეტრიული აღნაგობითაც. ყოველი ეგვიპტური პირამიდა ოთხკუთხოვანი წვერმანხილი პირამიდული ნაგებობაა. მას ოთხი სამკუთხოვანი წახნაგი აქვს და თვითეული წახნაგი ზუსტად ქვეყნის თვითეულ მხარეს — აღმოსავლეთს, დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შეეფარდება.



ეგვიპტური იეროგლიფები

ჯგუფ-ჯგუფად უდაბნოში, მდინარე ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, მისი დელტის სამხრეთით 30 კილომეტრის სივრცეზე და მეცნიერებისათვის უდიდეს ინტერესს შეადგენენ კაცობრიობის წარსულის, კერძოდ, ძველი ეგვიპტის კულტურის შესასწავლად.

პირამიდები აგებულია უზარმაზარი ქვებითაგან, ან, უფრო მომცრონი, მდინარე ნილოსის შლამიდან დამზადებული შავი აგურისაგან. გარედან პირამიდები მოპირ-

ბისათვის მკაცრი სიმშვიდე არქიტექტურულ ხაზებში და სრული უძრაობა ქანდაკებათა პოზებში სავსებით ბუნებრივი იყო.

პირამიდების მნახველთ აცვიფრებს ის, თუ როგორ შესძლო ადამიანმა იმ შორეულ წარსულში, პრიმიტიული ტექნიკის პირობებში ასეთი გრანდიოზული და საუცხოო ძეგლების შექმნა. თითქმის ყოველგვარი მანქანის გარეშე, თითქმის შიშველი ხელებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უბრალო ბერკეტებსა და ქვის მარტივ სატეხებს, ეგვიპტის მდაბიო ხალხი და მონები სტეხდნენ ქვებს არაბეთის მთებში და უზარმაზარი ლოდები მდინარე ნილოსამდე უდაბნოზე გადმოჰქონდათ. აქედან, ორჩხომელებითა და ტივებით, მშენებლობის ადგილამდე ეზიდებოდნენ. აქ თლიდნენ და აპქონდათ თვალუწვდენ სიმაღლეზე—პირამიდის ფუძიდან დაწყებული მის მწვერვალამდე. მხოლოდ მონათა ასეთი განუკითხავი ექსპლოატაციით იყო შესაძლებელი ამ გიგანტური პირამიდების აგება იმ ხანაში.

პირამიდებს შორის ყველაზე დიდი და ყველაზე გასაოცარი ქალაქ გიზის მახლობლად მდებარე სამი პირამიდაა, რომლებიც ააგეს ფარაონებმა ქეოფსმა (ხუფუმ), ხეფრენმა (ხაფრამ) და მიკერინმა (მენკაურმა). მათ შორის ძველი სამყაროს ხელოვნების საოცრებად მიჩნეულია ქეოფსის (ხუ-

პირამიდის ფუძე კვადრატია, რომლის თეფული გვერდის სიგრძე 233 მეტრს აღწევდა, პირამიდის სიმაღლე კი—146,5 მეტრს. დრო-ჟამის განმავლობაში უდაბნოს სილამ პირამიდის ნაწილი დაფარა, ამასთანავე მოპირკეთებაც ნაწილობრივ ჩამოინგრა და ახლა მისი ფუძის გვერდის სიგრძე 227,5 მეტრს შეადგენს, სიმაღლე კი—137,2 მეტრს. თანამედროვე ნაგებობებიდან მხოლოდ ეიფელის კოშკი (პარიზში), კელნის ტაძარი (ქალაქ კელნში მდინარე რაინზე) და ნიუ-იორკის ზოგიერთი ცათმბჯენი სჭარბობენ მას სიმაღლით, რაც შეეხება ფუძეს, მის გარეშემო შემოვლისათვის დაახლოებით ერთი კილომეტრის გავლას საჭირო.

ქეოფსის პირამიდის ასაგებად ორნახევარი მილიონი კუბმეტრი ქვა დახარჯულა; ქვების ეს ისეთი უზარმაზარი რაოდენობაა, რომ მისგან შეიძლებოდა აგებულიყო კედელი, — სიმაღლით 2 მეტრი და სისქით $\frac{1}{2}$ მეტრი, — რომელიც გადაიჭიმებოდა მთელ დასავლეთ ევროპაზე — პორტუგალიიდან პოლონეთამდე. მუშებისათვის, რომლებსაც, ცხადია, არც ისე უხვად კვებავდნენ, მართო საჭმლის საწვებელზე—ნიორი, ხახვი და ოხრახუში —1.600 ვერცხლის ტალანტი (3 მილიონი მანეთი ოქროთი) დახარჯულა, როგორც ეს მოხსენებულია ამ პირამიდის იეროგლიფებში. ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის ბერძენ ისტორიკოს ჰეროდოტეს ცნობით, ქეოფსის პირამიდის ასაგებად მონებს ეგვიპტის ყოველი კუთხიდან ერეკებოდნენ სამუშაოდ. ერთდროულად ასი ათასი კაცი მუშაობდა და მათ ყოველ 3 თვეში ცვლიდნენ მონების ახალი ნაკადით. ასე შენდებოდა ეს პირამიდა განუწყვეტლივ 30 წელიწადს.

„ყველა ნივთს ეშინია დროის, ხოლო თვითონ დროს პირამიდების ეშინიაო“, — ამბობს არაბული ანდაზა. და მართლაც, ყოვლისშემძუსკრელმა დრომ ჯერჯერობით ბევრი ვერაფერი დააკლო ზოგიერთ მათგანს, და მათ შორის ვერც ქეოფსის პირამიდას. ხალხები, მთელი სახელმწიფოები ჩნდებოდნენ, არსებობდნენ, ჰყვოდნენ და უკვე ბევრი მათგანი სამუდამოდ გაჰქრა დედამიწის ზურგიდან, პირამიდები კი უძრავად დგანან უდაბნოს ქვიშაში, გაჰყურებენ თვალუწვდენ სივრცეს და თითქოს დასცილიან ყოვლისშემძუსკრელ დროს...



ქეოფსის პირამიდა და სფინქსი (წინა პლანზე) ქალაქ გიზის მახლობლად.

ფუს) პირამიდა. ქეოფსის პირამიდა აგებულია ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 2.800 წელს და მდებარეობს ეგვიპტის ძველ დედაქალაქ მემფისიდან 20 კილომეტრზე.



ლეკური

მუსიკა თამარ შავეჩავაშვილისა

სოპრანო

The musical score consists of five systems. Each system has a soprano line on a single staff and a piano accompaniment on two staves. The key signature has one sharp (F#) and the time signature is 6/8. The score includes various musical notations such as notes, rests, slurs, and dynamic markings (p, mf, f). The piece concludes with a double bar line and repeat dots.

მალვა ლოკოქიფანიძე

გაზაფხული

გაზაფხულია, ხარობს ყოველი,
მეც სიხარულით გული მეფსება;
მზე ოქროსფერი სხივთა მთოველი
ყვავილებს, ხეებს ეაღერსება.

იისფერ შუქში ჩაძირულ ვეღზე
ცვარიან ბადახს სძოვენ ხარები,
და ფრთხიადებენ ჩიტები ხეზე
ლამეში ტკბილად ნამძინარევი.





იხით რა
მრავალფეროვან
ნიას
სისოსხდე?



უპრო ურინული

წყნარ ოკეანეში ოდესღაც საკმაოდ დიდი მატერიკი არსებობდა, რომელმაც თანდათან ჩაიწია ოკეანის ფსკერზე და მხოლოდ აქა-იქ დარჩა შემადლებული ადგილები. ეს შემადლებული ადგილები შეადგენენ მთელ რიგ კუნძულებს; მათ შორის არის კუნძული ახალი ზელანდია (ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით). იმ გარემოებამ, რომ ეს კუნძულები განმარტობული იყო და იქ ადგილობრივი მტაცებლები არ მოიპოვებოდა, განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმას, რომ აქ თანდათან გაჩნდა ცხოველთა ზოგიერთი თავისებური სახეები. ამ სახეებს შორის მეტად საინტერესოა კუნძულ ახალ ზელანდიაზე მოზინადრე უფროთო ფრინველი, რომელსაც კივი-კივი ეწოდება. კივი-კივი სუბტროპიკული დაუნის წარმომადგენელია. ის ბრტყელმკერდა, მოკლე კისრიანი, მკვრივი სხეულის მქონე მორბენალი ფრინველია. მას არა აქვს კლდი, აქვს მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ნაშთი ფრთებისა. ეს უკანასკნელი გარემოება ადასტურებს, რომ უფროთონი წარმოიშვნენ ფრთიანი ფრინველებისაგან. კივი-კივის სხეული დაფარულია ძირს ჩამოშვებული ღინდლიანი ბურტყლით და მთელი შებუბბლვა რამდენადმე მატყლს მოგვაგონებს. არაჩვეულებრივია აგრეთვე კივი-კივის ნესტოების განლაგება, რომლებიც მოთავსებული აქვს მას გრძელი, წვრილი ნისკარტის ბოლოში.

კივი-კივი ღამის ფრინველია. ღღისით იგი მიწაში იმალება, მეტწილად გვიანტური ხეები ფეხებში. ღამით კი საჭმლის საძებრად გამოდის. იკვებება იგი მწერით, ჭიითა და მცენარის თესლეულით, რომლებსაც ადვი-

ლად პოულობს თავისი კარგად განვითარებული ყნოსვით.

ცნობილია კივი-კივის ხუთი სახეობა, მაგრამ ცოტანი არიან ისინი: ადგილობრივი მცხოვრებნი ნადირობენ მათზე, ხორცს საჭმელად ხმარობენ, მის ღინდლს კი ტანსაცმლის მორთულობად. მონადირენი კივი-კივის იტყუებენ იმით, რომ ზაძავენ მათ ცახილს, თვალთ. უზნელებენ ჩირაღდნებით და ჰკლავენ კეტებით ან კიდევ ხელით იჭერენ. მათზე სანადიროდ იყენებენ აგრეთვე ძაღლებს. კივი-კივი ძაღლების მოსაგერიებლად იყენებს თავის მძლავრ ფეხებს.

ფეხები კივი-კივის მოკლე აქვს, სარბენად



მომარჯვებული და მაგარი ბრტყალებით შეიარაღებული, მიწის საფხოკნად და სათხრელად გამოსადეგი.

კუნძულ ახალ ზელანდიაზე მოწყობილია კივი-კივისათვის რამდენიმე ნაკრძალი, რითაც უზრუნველყოფილია ამ მეტად თავისებური ფრინველის დაცვა გადაშენებისაგან.

რაგონი პეისპარლელს გრძელი ყურები

იმიტომ, რომ, მას, კურდღელს არც დაცხეს და არც შეცივდეს. კურდღლებსა და ბაჭიებს ყურებში უამრავი სისხლის მილები აქვთ.

სიცხეში ეს სისხლის მილები ფართოვდებიან და სისხლი სხეულიდან ყურებისაკენ მიემართება. რადგანაც კურდღლის ყურის


კანი სიფრიფანაა, უბალნო, აქ, სისხლი სიცრეში მყოფ ჰაერით გრილდება.

სიცხეში, ამ პატარა ცხოველის ყურის სისხლის მილები იკუმშებიან, სისხლი მიმოქცევა სხეულისაკენ, ეს უკანასკნელი როგორც ვიცით თბილი ბეწვითაა დაფარული, რაც იცავს სისხლსაც და მთელ სხეულსაც გაციებისაგან.



პირველი დიდი ხომალდი ინგლისში

XVI საუკუნეში საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვაო ძლიერებამ ინგლისის მეფე ჰერნო VIII აიძულა შედგომოდა დიდი ხომალდების აგებას.



პირველს ამ დიდ ხომალდებს შორის „ჰარი“ ეწოდა. მისი წყალწყვა 1.000 ტონას შეადგენდა, მასზე ეტეოდა—700 მეტროდოლი, 9 სპილენძისა და 103 რკინის ქვემეხი.

„ჰარი“ დაიწვა ვულეიში 1563 წელს.

ბუნებრივი ციხე-კოშკი



ჩრდილოეთ ამერიკაში მთელი რიგი მალა-ლი მთებია, რომლებსაც როშეზი ეწოდება. ის მთები თავისი მოხაზულობითა და სიმაღლით რამდენადმე ალპებს მოგვაგონებენ და მდებარეობენ მთაგოებელ ანდების მახლობლად.

სურათზე მოცემულია ბუნებრივი ციხე-კოშკი, რომელიც შექმნილია როშეზის მთების განშტოებისაგან. სიმაღლე ამ „კოშკისა“ 150 მეტრს აღწევს.



ჭარაქის კომპოზიცია ორი ძირითადი სახეობისაგან შესდგება. პირველია ამოცანები, რომლებშიც ერთერთმა მხარემ (ჩვეულებრივ, თეთრებმა) შამათი უნდა გააკეთოს რამდენიმე სვლაში—2, 3, 4 და ა. შ. მეორეა ეტიუდები.


ამოცანისაგან განსხვავებით, საჭარაქო ეტიუდში მიზნად როდი ისახება აუცილებლად შამათის გაკეთება, არამედ საჭიროა მხოლოდ აშკარა მოგებულ პოზიციის მიღწევა (ზოგჯერ კი მხოლოდ ყაიმისა). „თეთრები იწყებენ და იგებენ“ ან „თეთრები იწყებენ და ყაიმს აკეთებენ“—ასეთია მიზანი საჭარაქო ეტიუდში.

ეტიუდში სავალდებულო პირობაა, რომ იმ მხარეს (ჩვეულებრივ თეთრებს), რომელმაც უნდა მოიგოს ან ყაიმს გააკეთოს, შესაბამისად უფრო ცუდი პოზიცია ჰქონდეს და მატერიალურად უფრო სუსტი იყოს.

ეტიუდის მიზანია კომბინაციურ საჭარაქო იდეის ძალის ჩვენება, რის შემწეობითაც ზოგჯერ აშკარა ცუდ მდგომარეობაში შეიძლება გამარჯვების მოპოვება. ქვემოთ მოყვანილია საჭარაქო ეტიუდის ერთ-ერთი მაგალითი.

ეტიუდი № 1

გ. ა. ნადარეიშვილის



თეთრები: მფ1, ლც1, პპ:c2, e2, (სულ 4).
შავები: მფh2, ლა6, კბ6, პპ:a4, a5, a7, h3, h4, h6 (სულ 9).
თეთრები იწყებენ და იგებენ.

ნელინელის რკონი

რა იწვევს ზამთარსა და ზაფხულს?

ზამთრის ცივი სუსხი და ზაფხულის ჰაზანაქება დედამიწის ეკვატორის პარალელზე, ისინი განსაზღვრავენ ჩვენი ცხოვრების პირობებს. მთელი ჩვენი პლანეტა, ჩვენი საქმიანობა, შეხამებულია წელიწადის დროებთან: სექტემბერ-ოქტომბერში ვემზადებით ზამთრისათვის, თებერვალ-მარტში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, წელიწადის დროებს გეივნივებს კალენდარი, რომელიც წლის დროთა მიხედვითაა შედგენილი.

ზამთარი და ზაფხული ასტრონომიული ხასიათის მოვლენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ავი მარტო ერთ რომელიმე ქვეყანაში კი არ ხდება, არამედ მთელ დედამიწაზე საერთოდ. ზამთარ-ზაფხულს ადგილობრივი პირობები კი არ იწვევენ, არამედ დედამიწის გარეშე არსებული სამყაროს პირობები, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა ადგილზე ზამთარი და ზაფხული სხვადასხვაანაირი სიძაბვისაა. ამ მხრივ ძირითადი მნიშვნელობა ადგილის სიგანეს აქვს. ეკვატორის მახლობლად ზამთარი და ზაფხული თითქმის არ იგრძნობა; იქ მუდამ თბილი ამინდია. ჩრდილოეთისაკენ ან სამხრეთისაკენ, რაც უფრო ვშორდებით ეკვატორს, ზამთრისა და ზაფხულის ამინდებს შორის განსხვავება მით უფრო მეტია.

ზამთარ-ზაფხულის გამომწვევ მიზეზების შესწავლა და მტკიცე კალენდარის შექმნაზე მუშაობა დაიწყო იმ პირველყოფილმა ერებმა, რომლებიც ეკვატორიდან მოშორებით ცხოვრობდნენ. ესენი იყვნენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები და ჩინელები.

დედამიწის ზედაპირზე სითბოს იწვევს მზე.—ის არის გავარჯერებული ბურთისებრა სხეული, რომელიც ყოველი მიმართულებით აფრქვევს სითბო-სინათლის სხივებს. ამ სხივების სრულად უმნიშვნელო — მცირე ნაწილი ხდება დედამიწას.

მრავალი კვლევის შედეგად გამოიჩინა, რომ ბურთისებური დედამიწა ბრუნავს ისე, თითქმის შიგ გაყრილი იყოს ღერძი (სინამდვილეში არავითარი ღერძი არა აქვს დედამიწას). დედამიწის წარმოსახვითი ღერძი ზედაპირის ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებში გადაჰყვით. დედამიწის ბრუნვა იწვევს დღე და ღამეს. მზისკენ მიშვერილი მხარე განათებულია და იქ დღეა; ხოლო მეორე მხარეზე ბნელა — ღამეა.

მზის სხივების პირდაპირი მოხვედრის გამო გვეტორის მიდამო მზით უკეთესად თბება. ვინემ პოლუსების მიდამო. ეს იწვევს ცხელი სარტყლის არსებობას ეკვატორის მახლობლად, ხოლო ცივი ტერიტორიების არსებობას პოლუსებთან.

დედამიწის ბრუნვის ღერძი მზის მიმართ, რომ უძრავი იყოს და ამიტომ დედამიწას მხოლოდ ბრუნვითი მოძრაობა ჰქონდეს, მაშინ დედამიწის ზედაპირზე ყველგან მუდამ ერთნაირი ამინდი იქნებოდა: ზამთარ-ზაფხული არ იქნებოდა. მაგრამ ბრუნვასთან ერთად დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო.

მზის გარშემო დედამიწის მოძრაობის გზა: ორბიტის უწოდებენ. დედამიწის ორბიტი დაახლოებით წრეს წარმოადგენს (სინამდვილეში ელიფსი); მისი რადიუსი, ე. ი. მანძილი დედამიწიდან მზემდე დაახლოებით 150,000,000 კილომეტრს უდრის. მზე დედამიწის ორბიტის ცენტრშია (დაახლოებით).

დედამიწის ბრუნვის ღერძი ორბიტის სიბრტყესთან მუდმივი კუთხით, 66½ გრადუსით, არის დახრილი. მაგრამ რადგან დედამიწა მზის გარშემო მოძრაობს, ამიტომ კუთხე მზის მიმართულებასა და დედამიწის ბრუნვის ღერძს შორის ცვალებადობს.

დედამიწის ბრუნვის ღერძსა და მზის მიმართულებას შორის არსებულ კუთხის ცვალებადობა აწვევს ზამთარსა და ზაფხულს.

21 მარტიდან 23 სექტემბრამდე კუთხე დედამიწის ბრუნვის ღერძის ჩრდილო მიმართულებასა და მზის მიმართულებას შორის მახვილია. ამის გამო მზის სხივები უკეთ ანათებენ და ათბობენ ჩრდილო ნახევარსფეროს, ვიდრე სამხრეთ ნახევარსფეროს.


23 სექტემბრიდან მეორე წლის 21 მარტამდე მზის მიმართულება (დედამიწიდან) დედამიწის ბრუნვის ღერძის ჩრდილო მიმართულებასთან შეადგენს ბლაგვ კუთხეს, ხოლო სამხრეთ მიმართულებასთან მახვილს. ამის გამო, ამ პერიოდში, მზის სხივები უკეთ ათბობენ სამხრეთ ნახევარსფეროს და ცუდად ჩრდილო ნახევარსფეროს. დღისა და ღამის ხანგრძლივობის ცვალებადობა ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

| კალიენდარი | ჩრდილო ნახევარსფეროში | სამხრეთი ნახევარსფეროში | სეზონი |
|-----------------------------|--|--|----------|
| 21 მარტი | ღამე თანის ტოლია | ღამე თანის ტოლია | |
| მარტიდან ივნისამდე 21 | ღამე ლამაზა გეშია ღამე მატულობს, ღამე კლებულობს | ღამე ლამაზა ნაკლებია ღამე კლებულობს, ღამე მატულობს | აზოდინი |
| 22 ივნისი | მასობრივი ღამე და მინიმალური ღამე | მინიმალური ღამე და მასობრივი ღამე | საზოდინო |
| ივნისიდან სექტემბრამდე 23 | ღამე ლამაზა გეშია ღამე კლებულობს, ღამე მატულობს | ღამე ლამაზა ნაკლებია ღამე მატულობს, ღამე კლებულობს | საზოდინი |
| 23 სექტემბერი | ღამე თანის ტოლია | ღამე თანის ტოლია | |
| სექტემბრიდან დეკემბრამდე 23 | ღამე ლამაზა ნაკლებია ღამე კლებულობს, ღამე მატულობს | ღამე ლამაზა გეშია ღამე მატულობს, ღამე კლებულობს | აზოდინი |
| 22 დეკემბერი | მინიმალური ღამე და მასობრივი ღამე | მასობრივი ღამე და მინიმალური ღამე | საზოდინი |
| დეკემბრიდან მარტამდე 21 | ღამე ლამაზა ნაკლებია ღამე მატულობს, ღამე კლებულობს | ღამე ლამაზა გეშია ღამე კლებულობს, ღამე მატულობს | აზოდინი |
| 21 მარტი | ღამე თანის ტოლია | ღამე თანის ტოლია | |



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენში—საქართველოში—მზე მაქსიმალური ინტენსივობით გვათბობს 22 ივნისს; ამ დროს ჩვენში დღე 15 საათზე მეტია. მიუხედავად ამისა, ცხელი ამინდები უფრო ივლისსა და აგვისტოშია. ამავე დროს მზე მინიმალურად გვათბობს 22 დეკემბერს, მაგრამ ზამთრის შუა თვე იანვარია. ამის მიზეზი დედამიწის ზედაპირის გათბობაა: 22 ივნისს დედამიწის ზედაპირი კიდევ არ არის გათბობილი, მისა გათბობა ვატულობს და მაქსიმალური ინტენსივობის მიღწევს. ხოლო 22 დეკემბერს დედამიწის ზედაპირი არ არის მინიმუმადე გაცივებული, გაცივება გრძელდება და მინიმუმს იანვარში მიღწევს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ იანვარი სამხრეთ-ნახევარსფეროში ზაფხულის თვეა, ხოლო ივნისი ივლისი და აგვისტო ზამთრის თვეებია.



პასუხი ჟურნალ „ბიონერის“ 1945 წლის № 9-ში
მოთავსებულ გამოცანებზე

აკვუსი

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

სცადეთ

თ. ებანოძისა


| | | | |
|---|---|---|---|
| ხ | თ | რ | ე |
| შ | | | ს |
| ღ | | | ა |
| ც | ხ | ო | ჰ |
| | | | ღ |
| | | | ა |
| ღ | შ | ს | ღ |
| ს | | | შ |
| ღ | | | ღ |
| ა | ა | ჩ | ნ |

| | | | |
|---|---|---|---|
| ე | ც | ე | შ |
| ა | | | ო |
| ღ | | | ს |
| რ | | | ღ |
| ა | | | ბ |
| ა | | | შ |
| ღ | შ | ს | ღ |
| ს | | | შ |
| ღ | | | ღ |
| ა | ა | ჩ | ნ |

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშე ლი შვილად გარდაეცემის.

თავსატყვისი

გ. ვახაშვიანისა



ჩინვოკრი

გ. ყარყარაშვილისა

1. ამუნდსენი, 2. ივერია, 3. „აიდა“, 4. არხანგელსკი, 5. იზაბელა, 6. აზოვი, 7. იასამანი, 8. იტალია, 9. აივენგო, 10. ოსტროვსკი, 11. ია, 12. „აჩრდილი“, 13. იორი.


ჰინ გეიმარჯვეს?

პასუხი III სერიაზე

1. საზღვაო საზღვარი უფრო დიდია.
2. საბჭოთა კავშირის ნაპირებთან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე ჰქმნის შემდეგ ზღვებს: ზარენცის თეთრა, კარის, ლაპტევიტის, ალმოსავლეთ-ციმბირის, ჩუკოტის. წყნარი ოკეანე: ბერიინგის, ოხოტის, იაპონიის, ატლანტის ოკეანე—ბალტიის, შავს, აზოვის.
3. ბერიინგის ზღვა ყველაზე დიდია (2275 ათასი კვ. კმ.), აზოვის—ყველაზე მცირე (37605 კვ. კმ.).
4. ახალი მიწა (ჩრდილოეთის კუნძული)—48,2 ათასი კვ. კმ.
5. უდიდესი მლაშე ტბა—ზღვებო: კასპიის ზღვა (424,3 ათასი კვ. კმ.) და არალის ზღვა (63,8 ათასი კვ. კმ.).
6. ლადოგის ტბა (18,4 ათასი კვ. კმ.).
7. ბაიკალის ტბა ალმოსავლეთ ციმბირში (31,5 ათასი კვ. კმ.). ამ ტბის სიღრმე დაახლოებით 1,741 მეტრია.
8. მდინარე ვოლგა (3688 კმ.).
9. სტალინის პიკე ჰამირზე (7495 მეტრი).
10. კლიუჩევსკაია სოკა კამჩატკაზე (4778 მეტრი).

III სერიაზე პასუხება გამოგზავნეს რედაქციაში და ქულები შეგროვეს შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა: 5. ცინცაძემ, მ. ჩხაიძემ, ე. ყაჭვიშვილმა, 5. ბასათაშვილმა, დ. უნგიაძემ, რ. ტრაპაიძემ, ე. ჩიქვაძემ, დ. ცინცაძემ, ო. ლამბაშიძემ (ყველა ჩონხატაურტიდან)—თვითუღმა 9 ქულა, თ. პაიჭაძემ (ქუთაისი)—9, თ. ებანოძემ (ბაშლრი)—9, ჯ. კუპრეიშვილმა (ძველი სენაყი)—9, 5. ხალათოვმა (თბილისი)—8, რ. სოჭიანამ (ქუთაისი)—8, ჯ. ცხელიშვილმა (ზესტაფონი)—7, მ. დლონტა (მახარაძე)—6.

სარკის დანმარებით შეიძლება 10-ის 18-ად წაკითხვა.



ქობულაძის კალენდარი



45 წლის წინათ, 1801 წლის 4 მარტს გარდაიცვალა ქართველი პოეტი სახოგადო მოლვაწე რაფიელი ერისთავი.

1934 წლის 15 მარტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით.



70 წლის წინათ, 1876 წლის 23 მარტს რუსმა ელექტროტექნიკოსმა პ. ნ. იაბლოჩკოვმა გამოიგონა ელექტრონის ნათურა.

••

გასული წლის 26 მარტს გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის მარშალი ბორის მიხეილის-ძე შაპოშნიკოვი — ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი. წითელი არმიის ერთერთი საუკეთესო ხელმძღვანელი.



1861 წლის 10 მარტს გარდაიცვალა დიდი უკრაინელი სახალხო პოეტი რევოლუციონერი—დეკაბრისტი ტარას შევჩენკო. ის დაიბადა 1814 წელს.



20 წლის წინათ, 1926 წლის 15 მარტს გარდაიცვალა კომუნისტი მწერალი „ჩაპაევისა“ და „ამბოხების“ ავტორი, ჩაპაევის დივიზიის კომისარი დიმიტრი ფურმანოვი. ის დაიბადა 1891 წელს.

კომუნისტი

საბჭოთა კავშირის მარტის 15-დღიანი კალენდარი

თველის



1871 წლის 5 მარტს დაიბადა რეზა ლუქსემბურგი, ის მოჰკლეს 1919 წლის 15 იანვარს.

65 წლის წინათ, 1881 წლის 28 მარტს გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი მუსორგსკი.



პიონერი

საქ. ალკა. ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 3

მარტი 1946 წ.

წელიწადი მეოცე
გამოცემლობა „კომუნისტი“

ПИОНЕРИ

№ 3

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Комунисти“

შინაარსი

მურმან ლებანიძე — მოღის ხუთ-
წლელი! (ლეჭი) . გარეკანის მე-2 გვ.
ჩვენი ქვეყანა ხუთი წლის შემ-
დგ 1 გვ.
ალიო მაშაშვილის ლიტერატურუ-
ლი მოღვაწეობის 25 წლისთავი (წე-
რილი) 4 „
ალიო მაშაშვილი—დგას ორი ქალა-
ქი—ორი ძმად ნაფიცი (ლეჭი) 5“
ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი)—ძველი
ამბავი ბუხართან (მოთხრობა) 6“
ალექსანდრე შანიძე—ჩვენი გაზაფ-
ხული (ლეჭი) 8 „
ანდრო თევზაძე — ბაბუა სარიდა-
ნის ნაამბობი (მოთხრობა) . . . 9 „
როზა თავდიდშვილი — ორი ძმა
(ზღაპარი) 11 „
ჟიულ ლაზარ—ასანთს გამყიდველი
(მოთხრობა — თარგმანი ფრანგული-
დან). 14 „
ნორჩ ავტორთა შემოქმედება 16-17 “

ჩვენი პიონერული ცხოვრება 18 „
ბიძინა ფერაძე—უცნობი მხატვარი
(მოთხრობა—თაუისუფალი თარგმანი
ინგლისურიდან) 20 „
შ. გვინჩიძე—ძველი სამყაროს შეი-
ლი საოცრება (ნარკვევი) . . . 22 „
თამარ შავერვაშვილი — ლეკური
(მუსიკა) 26 „
შალვა ლორთქიფანიძე — გაზაფ-
ხული (ლეჭი). 26 „
იციო რა მრავალფეროვანია სი-
ცოცხლე? 27 „
მსოფლიოს ყოველი მხრიდან 28 „
ნორჩი მოჭადრაკე 28 „
ა. ფურცხვანიძე—წელიწადის დრო-
ნი (საუბარი ასტრონომიულ საკით-
ხებზე) 29 „
პასუხი გასართობ გამოცანებზე 30 „
პიონერის კალენდარი 31 „
გასართობი . . . გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანზე მხატვარ ვ. ბეღეცკაიას ნახატი „გაზაფხული“.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი,
შ. გვინჩიძე, ან. დულარიძე (პრეზ. რედაქტორი), ვ. ვარდიანიშვილი,
პროფ. გ.თავაძეშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

შე—01788 ტირაჟი 7600 გამოც. № 42 სტაბის შეკვეთა № 682

ბერაის სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გასართობი



რა არის გასართობი და როგორია მისი სახეები?

ჩვენი ყურნალის ნორჩი მკაახველები ყოველ ნომერში ეცნობიან სხვადასხვა სახის გასართობებს. გასართობები ანვითარებს მოსაზრებულობას, ყურადღებას, მოითხოვს დაფიქრებას, ამიღერებს ცოდნას. გასართობი ბევრნაირია, მაგალითად:—გამოცანა, თავსატეხი, გამოცანა—ხუმრობა, შარადა, ანაგრამა, ლოგოგრაფი, რებუსი, ანალიტიკური გამოცანა, კროსვორდი, ჩაინვორდი და სხვ. ყოველი მათგანის შედგენასა და ამოხსნას თავისა წესები აქვს, მაგრამ ეს წესები ყველასათვის ნათელი და გარკვეული არ არის. ამიტომ, ჩვენს ყურნალში, ამ ნომრით დაწყებულ, თანდათან განვმარტავთ მათ წესებს, აგრეთვე გაეაცნობთ ნორჩ მკითხველებს გასართობის ზოგიერთ ახალ სახეს.

ანაგრამა (anagramma) ბერძნული სიტყვაა. „ანა“ (ana) ნიშნავს „გარდი-გარდმო“, „გრამა“ (gramma)— „ასო“. ან.გრამის შედგენისას ხდება სიტყვაში ასოების გადასმა, გარდი-გარდმო გადატანა, მთი ადგილგადანაცვლება, რის გამო მივიღებთ ახალ სიტყვას, სხვა ცნების გამოხატველს. მაგალითად სიტყვა „დილა“ ანაგრამაში შეიძლება შეიცვალოს სიტყვით „ლიდა“, სიტყვა „რიონი“ სიტყვით „ნიორი“ და ა. შ.

ანაგრამის მაგალითის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ XVIII საუკუნის უდიდესი ფრანგი „განმანათლებლისა“ და სახელგანთქმული მწერლის გვარი „ვოლტერი“. გვარი „ვოლტერი“ ნამდვილი არ არის. ეს გვარი მიიღო XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს მარი-ფრანსუა არუემ. „არუემ“-ს ფრანგული დამწერლობიდან შედგენილია ანაგრამა „ვოლტერ“ შემდგენიარად: აღებულია Arouet I(e) (eune)—„არუე უმცროსი“ (ფრჩხილებში ჩასმულია ის ასოები, რომლებიც მეროდება და, მასადაამე ანაგრამაში მონაწილეობას არ იღებენ). აქედან: Arouet-Voltaire. რვა ასო პირველ სიტყვაში ადგილგადანაცვლებულია და მიღებულია იმავე რვა ასოდან შედგენილი ახალი სიტყვა „Voltaire“ („ვოლტერ“), რომელი სახელითაც მთელი მსოფლიო იცნობს ამ შესანიშნავ მწერალს.

კროსვორდი.—ქვემოთ ვათავსებთ აკროკროსვორდს, რომელიც კროსვორდის სახეობაა.

რა არის საერთოდ კროსვორდი?—კროსვორდი უცხო სიტყვაა და ნიშნავს ერთიმეორას გადაკვეთი სიტყვებისაგან შედგენილ გამოცანას. კროსვორდის შედგენისას უნდა გვახსოვდეს, რომ არ კმარა მას კარგი შინაარსი მქონდეს, საჭიროა აგრეთვე მისი ფორმას, გარეგნული სახის დამუშავება, კროსვორდის ამოსახსნელად თვითუფლ უჯრედში თითო ასო იწერება. ასოს ჩაწერა შეიძლება მხოლოდ თავისუფალ უჯრედში. სიტყვის ჩაწერა იწყება ყოველთვის იმ უჯრედით, რომელშიც სწერია ციფრი, სიტყვები განლაგდება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად.

აკროკროსვორდი. — აკროს (აკრიჯ) ბერძნული სიტყვაა და „განაპირას“ ნიშნავს. მასადაამე, აკროკროსვორდი ასეთი კროსვორდია, რომლის უჯრედებში ჩაისმება ამოცნობილი სიტყვების მხოლოდ პირველი, განაპირა ასოები. ამ ასოებიდან შეიქმნება ერთი გარკვეული, დასრულებული წინადადება. ამ მოყვანილ აკროკროსვორდის უჯრედებში ჩასვით ამოცნობილი სიტყვების პირველი ასოები, მიიღებთ ლოზუნგს.

1. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი, 2. პოეტი—დუქარბისტი, 3. გამოჩენილი ქართველი მწერლის სახელი, 4. საქართველოს მეფე-პოეტი, 5. ე. ნინოშვილის ნაწარმოების გმირი, 6. მე-19 საუკუნის ცნობილი ფრანგი მწერალი, 7. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების გმირი, 8. „ლონ-კიოტის“ ავტორი, 9. ლექს „სულთქოს“ ავტორი, 10. ქართული ლიტერატურის გენიალური ნაწარმოები, 11. დიდი რუსი, პოეტი, რომელიც დიდიუმა კავკასიაში, 12. ქართული ხალხური ეპოსის გმირი, 13. ლიტერატურული ნაწარმოების სახე, 14. მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტი, 15. ქალაქი რომელიც აწერილია „ილიადაში“, 16. მთის მგოსანი, 17. თანამედროვე ქართველი პოეტი, 18. ნ. ბარათაშვილის ნაწარმოები, 19. ცნობილი სათავგადასავლო ნაწარმოების გმირი, 20. პომეროსის პომეის გმირი, 21. ადგილი, სადაც 1812 წლის სამამულო ომის დროს სწარმოებდა პირველი გენერალური ბრძოლა, 22. ცნობილი ზღაპრების ავტორი, 23. საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ერთ-ერთი ავტორი.

შეადგინა მ. დავითაშვილი



